

## ანტიგონე ნიუ-იორკში

### იანუშ გლოვაცკი ( 1938-2017)

პიესა დაწერილია 1992 წელს შეერთებულ შტატებში, სადაც ავტორი 1984 წლიდან ცხოვრობდა. ტექსტი ავტორისეული ინგლისურენოვანი ვერსიიდან ვთარგმნე, რომელიც არაპოლონელი მაყურებლისთვის ოდნავ შეცვლილია. თუმცა, ჩვენს ხელთ იყო პოლონური ვერსიაც და შევეცადეთ, სქოლიოში პოლონურ და ინგლისურ ვერსიებს შორის არსებულ სხვაობებზე მიგვეთითებინა, თუმცა, ნაჩვენები სხვაობების გარდა, ტექსტს შორის გამოკვეთილი განსხვავება ისაა, რომ პოლონური ვერსია 15 სცენისგან შედგება, ინგლისურენოვანი - 10-ისგან.

თარგმნა ქეთი ქანთარია

მოქმედი პირები სცენაზე გამოჩენის თანმიმდევრობით

### პოლიციელი

საშა

ანიტა

ტკიპა

პოლ.ვერსიაში: ჯონი ( გვამი)/ ინგლ. პოლი ( Paulie)

პირველი მამაკაცის ხმა ( პოლ. ვერსიაში)

მეორე მამაკაცის ხმა ( პოლ. ვერსიაში)

მოქმედება ხდება ტომპკინს სკვერ პარკში, ერთი ღამის განმავლობაში.

ქალაქის ხმაური შეიძლება დროდადრო მუსიკალურ ინტერლუდიებში გადაიზარდოს, რომლებიც ზოგ სცენას ერთმანეთისგან ჰყოფს .<sup>1</sup>

### მოქმედება I

#### სცენა I

---

<sup>1</sup> ეს დაზუსტება არ არის პოლონურ ვერსიაში.

(ნიუ-იორკის პარკი, რომელშიც უსახლკაროებს უდევთ ბინა. ინგლ. ვერსიაში: სცენა ნათდება და ვხედავთ ტიპურ ნიუიორკულ პარკს, რომელიც უსახლკარო ადამიანებს დაუსაკუთრებიათ. მოჩანს ერთი-ორი გრძელი სკამი, უამრავი ნაგავი, კონსერვის ცარიელი, გადაყრილი ყუთები, წყლის დასალევი შადრევანი, ბუჩქი, ერთი-ორი ყუთი, იქვე პოლიეთილენის პარკებს აფრიალებს სადამოს ნიავი. ერთი გრძელი სკამი, გაყინული, უფოთლო ხის ქვეშ, ძველმანების და პოლიეთილენის ჩანთების გორას დაუფარავს.)

შემოდის ანიტა. ანიტა 35 წლისაა და ისე გამოიყურება, თითქოს თავისი ასაკის თითოეული წუთი საფუძვლიანად გაეხარჯოს. აცვია ფერადი პალტო - შესაძლოა, ერთზე მეტიც, ახურავს ყურსათობიანი ქუდი, რომელიც ყურებს ბოლომდე ვერ უფარავს, და კაცის ფეხსაცმელი და მოჭრილთითებიანი ხელთათმანი აცვია. სუპერმარკეტის ურიკას მიაგორებს, რომელიც პოლიეთილენის ფუთებად გამოკრული ტანსაცმლითაა სავსე. ზემოდან ვარდისფერი ტელეფონია შემოდებული. სცენაზე ძალიან სწრაფად გადაივლის, აშკარაა, რომ გამწარებული ვიდაცას დაეძებს. მერე გადის.)

( შემოდის პოლიციელი. სცენის კიდისკენ მოიწევს. სახეზე სასიამოვნო გამომეტყველება მოურგია და მაყურებელს უღიმის.)

**პოლიციელი.** <sup>2</sup>მინდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ უსახლკაროების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ესენი ჩემნაირი და თქვენნაირი ხალხია, იმ განსხვავებით, სახლ-კარი არ აქვთ. არავინ მოგატყუოთ. ამათში ბევრი ურევია/შემხვედრია კულტურული, ხშირად - უაღრესად განათლებული ადამიანები. სიმართლე ისაა, რომ ესენიც ისეთივე ამერიკელები არიან, როგორებიც ჩვენ ვართ.<sup>3</sup> სადამო მშვიდობისა, ჩემი სახელია ჯიმ მერფი, სერჟანტი ჯიმ მერფი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ გითხრათ - ესენი მხოლოდ ამერიკელები არ არიან. ზოგი მათგანი სხვა ქვეყნებიდანაა ჩამოსული. ზოგი აქ პოლიტიკურ თავისუფლებას ეძებდა, სხვები ცხოვრების სტანდარტების გასაუმჯობესებას ცდილობდნენ. <sup>4</sup> ამიტომ დატოვეს თავ-თავიანთი ქვეყნები და ნიუ-იორკში დასახლდნენ.. / ქვეყნები და ავტობუსის ტერმინალებში, ნიუ-იორკის ქუჩებსა და პარკებში დაიდეს ბინა.. რაც არის და როგორც არის. მათაც უყვართ თავიანთი ახალშემენილი ქვეყანა და მადლიერები არიან ყველაფრისთვის, რასაც იგი მათთვის აკეთებს ( ბოლთას ცემს და ისე ლაპარაკობს) ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ერთმანეთში დიდი გაგება და სიამტკბილობა გვაქვს. ამ ადამიანებს დროის უცნაური შეგრძნება აქვთ. ჩვენსავით წლებით ზომავენ მას, მაგრამ ფიქრის მდინარებას საათებით საზღვრავენ. <sup>5</sup>

<sup>2</sup> პოლონურ ვერსიაში ასე იწყება: „სადამო მშვიდობისა. ჯიმ მერფი გახლავართ. სერჟანტი მერფი.“

<sup>3</sup> პოლ. ვერსიაში ასეა: და შემოდის, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რომ ისინიც ისეთივე ნამდვილი ამერიკელები არიან, როგორებიც ჩვენ ვართ.

<sup>4</sup> პოლ. ვერსიაში: ზოგი აქ თავისუფლებას ეძებდა, ზოგსაც იმედი ჰქონდა, რომ უკეთ იცხოვრებდა და უკეთესი შემოსავალი ექნებოდა.

<sup>5</sup> პოლ. ვერსიაში ასე გრძელდება: მაგალითად, ორი წლის წინ ქვედა ისტაიდში ვეწეოდი პატრულირებას. ჰოდა, გავიხედოთ და ერაცის ომის მოწინააღმდეგე რადიკალების დემონსტრაცია მოდის..ჯერ პირველ ავენიუს

ვერც იმას ვიტყვი, თითქოს ჩვენს შორის სრული თანხმობა იყოს. ყველაფერში ვერ ვუგებთ ერთმანეთს. რაც არ არის, იმას ვერ ვიტყვი. მაგრამ ამ ადამიანებს ისეთი დამახინჯებული დროის შეგრძნება აქვთ, ჭკუიდან გადაგიყვანენ. ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, ათ წელიწადში რა გველის, ესენი - ერთ საათში რა იქნება, იმაზეც არ წუხან. ჩვენ, მაგალითად, ღამლამობით გვძინავს, ხომ ასეა? რადგან ეს თითქოს ნორმალურია. ესენი კი დღისით იძინებენ, თვლიან, რომ ასე უფრო უსაფრთხოდ იქნებიან. ( მხრებს იჩეჩავს.) ამგვარად, დროის უმეტეს ნაწილს ისე ატარებენ, რომ გაგნებაში არ არიან, რა ხდება გარშემო. და მერე, შიზოფრენიკოსებიც რომ არ იყვნენ, მაინც უჭირთ გარემოსთან ურთიერთობა. გეტყვით, რის თქმას ვცდილობ: მე ამ ხალხის დახმარება მინდა. მაგრამ მათი დახმარება ადვილი საქმე არ არის. ამ ადამიანებმა რამენაირად ცხოვრება უნდა ისწავლონ და ფეხზე დადგნენ.<sup>6</sup> თავის გადარჩენა უნდა ისწავლონ, ცოტა საქმეს მოჰკიდონ ხელი. მაგრამ როცა სულ მათ დახმარებას ცდილობ, მაგალითად, როდესაც საჭმელს, ან ფულს, ან ტანსაცმელს აძლევ, ან ვაქცინაციაზე მიგყავს, ამ დროს დამოუკიდებლობის გარდა ყველაფერს ასწავლი. ამგვარად, აშკარაა, რომ როდესაც ეხმარები, სინამდვილეში ვნებ ამ ადამიანებს. ამიტომ ისჯება კანონით ჩინეთში მათხოვრობა. ჩინეთში, სადაც უსახლკაროები არ არსებობენ. ამგვარად, აშკარაა, რომ დახმარება ვნებს ამ ადამიანებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ როცა ამათ ვნებ, ეგ ყოველთვის დახმარების გაწევას ნიშნავს. ასე მარტივად არაა საქმე. რაკი საქმე ისეა, რომ როცა ეხმარები, ვნებ, და როცა ვნებ, მერე არ ეხმარები, ბოლოს აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში ამ ხალხს მაშინაც ვერ ეხმარები, როცა ეხმარები. და პირიქით. გასაგებად ავხსენი? რ გავალ და მოგბრუნდები.

( პოლიციელი გადის)

(მის გასვლასთან ერთად მონძების გორაც შეირყევა. ქვემოდან მოძვრება **საშა**, 40-50 წლის მამაკაცი ( ზუსტად ძნელია მისი ასაკის თქმა<sup>7</sup>), რომელიც ზამთრის სიცივისგან მაქსიმალურად თავდასაცავადაა ჩაცმული: ორი-სამი პალტო აცვია, რამდენიმე შარფი აქვს მოხვეული, სათხილამურო ქუდი ახურავს და ასეთივე ხელთათმანები აცვია, ყველაფერი -

---

გამოუყვანენ, მერე მეშვიდე ქუჩაზე გამოუხვიეს და ტომპკინს სკვერ პარკისკენ წამოვიდნენ, და, როგორც სჩვევიათ, ამერიკის დროშას წაუკიდეს ცეცხლი. რაღაც უზარმაზარი დროშა ჰქონდათ. ძალიან აგრესიულად მოიწევდნენ ჩემკენ და მექაჩებოდნენ. ძალიან აგრესიულად. ჰოდა, ამ დროს ტომპკინს სკვერიდან ნიუიორკელი მაწანწალები გამოვიდნენ. მშვიდები, დაუბანლები, მაგრამ ბრძოლის ჟინით სავსენი. ზოგს შიდასი ჰქონდა იქიდან, ზოგს ჭლექი, ზოგს სიფილისი - რა დაავადებაც არ უნდა გაგახსენდეთ, ალბათ ყველაფერი მაგათ სჭირთ. მაგრამ თან პატრიოტული ჟინიც აქვთ. შეუტყის ამ რადიკალებს, გამოსტაცეს ვარსკვლავებიანი დროშა.. ჩააქრეს ცეცხლი, რითაც შეეძლოთ, ხელებით, მონძებით, რაც კი რამე ეცვათ.. გადაარჩინეს, რაც ცეცხლს გადაურჩა. ამისთვის მაინც, ჩემგან პატივისცემას იმსახურებენ. სხვა პოლიციელებიც პატივს სცემენ.. მათი უმეტესობა... უამრავი პოლიციელი.

<sup>6</sup> ძველი, პოლონური ვერსია აქედან ასე გრძელდება -სძინავთ და ეძინოთ, თითქოს არც არაფერი, მაგრამ რატომ ვამბობ ახლა ამას. რატომ და -უამრავი პატიოსანი ადამიანი, ისეთები, როგორებიც მე და თქვენ ვართ, ამ ხალხის ფეხზე დაყენებას ცდილობს.

<sup>7</sup> პოლონურ ვერსიაში - 50-60 წლისა.

გვარიანად შელახული. წამოჯდება, გაიზმორება და პალტოს შიგნით რაღაც ეძებს, შემდეგ იქიდან პატარა მაგნიტოფონს გამოაძვრენს.

საშა მაგნიტოფონს რთავს და სასიყვარულო სიმღერას პოულობს. რაღაცას, რაც ძალზე წააგავს სიმღერას „Strangers in the Night“)

## სცენა მეორე

( სანამ სიმღერა გრძელდება, საშა გრძელ სკამზე ზის. მერე ზედა პალტოს ცარიელ ჯიბეებს ამოიტრიალებს, ფეხსაცმლის ლანჩიდან სამართებელს იღებს და გულმოდგინედ იწყებს მარცხენა ჯიბის გაჭრას.)

( შემოდის ანიტა, თან თავის ურიკას მოაგორებს, ხელში პლასტიკატის ჭიქა უჭირავს, რომელშიც ყავა უსხია. საშას ჩაუვლის, დახედავს და გზას უფრო გამომოცოცხლებული აგრძელებს.)

( საშა თვალს აყოლებს. ზუსტად იმ წუთს, როდესაც ანიტა გადის, მაგნიტოფონის ჩანაწერი ნელდება, ირევა და წყდება. საშა მაგნიტოფონს რამდენჯერმე შეაჯანჯღარებს.)

( სცენაზე ხელახლა შემოდის ანიტა. შემოვა თუ არა, მუსიკაც განახლდება. საშა ანიტას შეშფოთებული სახით შეჰყურებს. ანიტა, ურიკის გორება-გორებით, სცენის მეორე მხარიდან გადის კულისებში.)

( საშა გაავებული აჯანჯღარებს მაგნიტოფონს. არაფერი იცვლება. ანიტა ბრუნდება. საშა ჯერ მას გასცქერის, მერე, იმედიანად, მაგნიტოფონს დაჰხედავს. ანიტა უახლოვდება, მაგრამ ჩანაწერი არ ირთვება. საშა გაწბილებულია.)

**ანიტა.** სადმე აქ პოლი <sup>8</sup> ხომ არ გინახავს?

( საშა ანიტას შეჰყურებს. კიდევ ორჯერ შეარყევს მაგნიტოფონს. სასიყვარულო სიმღერის საზიზღრად არეული მელოდია წუთით გაისმება და შემდეგ წყდება. საშა მაგნიტოფონს თავს ანებებს და მეორე ჯიბეების ჭრას აგრძელებს.)

**ანიტა.** ( აგრძელებს) ნუ მიყურებ. ეგრე ნუ მიყურებ. მგონი არაფერი უცნაური არაა იმაში, რომ ამწუთას აქ არ არის. შენ მე გიჟი ხომ არ გგონივარ. კაცია და უფლება აქვს, საითაც მოეხასიათება, იქით გაუხვიოს, მაგრამ არსადაც არ მიდის. დარწმუნებული ვარ, იმ წითელთმიან ბოზანდარა მენდისთანაა. კი იცი, ვისაც ვგულისხმობ. ცალი ფეხი თაბაშირში რომ აქვს. კაცს დაინახავს თუ არა, კუდივით აედევნება, მაგრამ როდისმე ჩემი პოლის გვერდით რომ დავინახო, ისე მაგრად ვწვდები იმ შეღებილ თმაში, თვალებიდან სულ

---

<sup>88</sup> Paulie; პოლ. ვერსიაში - ჯონი

ნაპერწყლებს ვაყრევინებ. მე რომ აქ ვყოფილიყავი, მისკენ მეორედ გახედვას ვერ გაბედავდა, მაგრამ წუხელ ვერ გავძელი. ძალიან ციოდა. საქვაბეში წავედი და ახლა ველარსად ვპოულობ. ვთხოვე პოლის, წამომყვი-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ იმ ორ დოლარს მე გადავუხდიდი, მაგრამ არ ქნა. ახლა ვფიქრობ, გაბრაზებული ხომ არაა ჩემზე, მე რომ წავედი. არ ვიცი. შენ როგორ გგონია? კაცი ხარ მაინც. გაბრაზდებოდა? ძალიან რომ ციოდა?

( საშა ისევ მაგნიტოფონს არყევს.)

**ანიტა** (აგრძელებს) ყავა მოვუტანე და ველარ მიპოვია. მთელი დღეა, ვეძებ. წუხელ სვიტერი მივეცი. ქაშმირის შალის. ლურჯი. ეკლესიიდან მისთვის წამოვიღე. ეგენი ყველაზე თბილი სვიტერებია. ეგ რომ გაცვია, სითბოს ინარჩუნებ. ( საშა კვლავ თავის მაგნიტოფონს არყევს.) გიჟი ხარ? რას აჯანჯდარებ მაგ მაგნიტოფონს? გააჩერე ხელი. საათი კი არაა. დადე. ( საშა მაგნიტოფონს სკამზე დებს და ფირიც მაშინვე ირთვება.) ხედავ?

( საშა გაოცებულია. შემოდის **ტკიპა**. სიმღერის რიტმს ყვება და ტუჩებს ისე ამოდრავებს, ვითომ თვითონ მღერის. მზერა დაუსრულებლად დაუხტის ერთი საგნიდან მეორეზე. ტკიპა ცხოვრებისაგან განადგურებული ადამიანია. ტკიპა საშას დამნაშავე სახით გასცქერის. ჯდება და ახლოდან ადევნებს თვალს საშას და შესამჩნევად ნერვიულობს. ანიტა ყავას მოსვამს.)

**ანიტა**. გაცივდა უკვე ეს ყავა. ნახე დღეს? ხომ შეგიძლია, მითხრა. იმ წითელთავა მენდისთან ერთად თუა, შენ არ დაგადანაშაულებ. არ ვარ მე ეგეთი ქალი. (საშა არ პასუხობს). არ არის? მაშინ იმ ნაბოზარს ბედი ჰქონია. მაგრამ მაშინ სად წავიდა?

( ანიტა გადის.)

**ტკიპა**. ცივა. დღეს მაგრად ცივა. ცივა. ( საშა ავ მზერას ესვრის და ზიზღით განზე აფურთხებს. ტკიპა აგრძელებს, მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობს.) დღეს ქუჩის ორივე მხარეს შეიძლება მანქანის დაყენება.

( საშა გახედავს და მერე კიდევ ერთხელ გადააფურთხებს. ტკიპას ეს არ აბნევს. პალტოს ღილს შეიხსნის და იქიდან დასათბობად შეტენილი გაზეთებს აძრობს. საშას შესცქერის, თან გაზეთისგან ჯარისკაცის ქუდს აკეთებს, იღიმება, ქუდს თავზე იხურავს და საშას წინ ჯარისკაცივით, მარშით იწყებს სიარულს.)

**ტკიპა**. ( აგრძელებს). საშა. ნახე. ( სამხედრო მარშის მელოდიას ღიღინებს). მე ვარ. სტალინი. მიყურე. მერე ჯიბიდან პატარა შავ სავარცხელს ამოიღებს, ზედა ტუჩს ზემოთ იღებს და მუხლში მოუხრელი ფეხებით<sup>9</sup> მარშირებას იწყებს.) ნახე, ჰიტლერი. ნახე, საშა.

---

<sup>9</sup> ე.წ. პრუსიული სააღლუმე ნაბიჯით (Steckschritt )

( ტკიპა მარშით დადის სცენაზე, წინ და უკან, თან მღერის. საშა ქვასავით გამეშობული სახით უყურებს. ტკიპას ჯერ იმედი არ გადასწურვია. ახლა „ჰავა ნაგილას“ ცეკვას იწყებს. რაც უფრო მონდომებით ცდილობს მეგობრის გართობას, მისი ცეკვაც უფრო გიჟური ხდება. საშა დიდხანს უყურებს და თვალს არ აშორებს. მერე ხელახლა გადააფურთხებს და თავის მაგნიტოფონს უბრუნდება. ტკიპა გაწბილებულია, ახლა ტაქტიკას იცვლის. ჯარისკაცის ქუდს თავიდან იხდის და საშას სიახლოვეს ჯდება სკამზე. ერთხანს იმ გაზეთიდან, რომლითაც ქუდი გაიკეთა, სტატიის კითხულობს, მერე ისევ საშას მიუბრუნდება.)

**ტკიპა.** (აგრძელებს) ( სტატიაზე რეაგირებს) ჰეჰ!

( ტკიპა რეაქციას ელოდება. საშა არ რეაგირებს - პალტოს სარჩულიდან გადატეხილი სიგარეტის გამოღებას ცდილობს, ბოლოს, როგორც იქნა, მოუკიდებს)

**ტკიპა.** ( აგრძელებს) სიგარეტის სუნი მისდის და ნეტარებით ისუნთქავს) ჰეჰ! ხედავ, კაცო? საშა, ჩილეში ერთი ეპისკოპოსი ყოფილა, რომელიც ახლა არქიეპისკოპოსი გამხდარა. რას ფიქრობ ამ ამბავზე? იცი, რა ჰქვია? სალვატორე მანჩინი. (გალიზიანებით) მაგარი ნაბიჭვრის ერთი იქნება. სხვანაირად ამდენს როგორ მოახერხებდა? ჰა? საშა, ჰა? ერთი ეგ გარეწარი მანჩინი მომცა აჰ! ნაბიჭვარი მამამალლი.

( ტკიპა ხელებს ისე იქნევს, რომ საშას სიგარეტის ბოლიდან მცირედი მასაც ხვდეს. მერე ზიზღიანი გამომეტყველებით იხდის ცალ ფეხსაცმელს, მანჩინის ამბიან გაზეთს შიგნით იფენს და ხელახლა იცვამს. იმედიანი სახით უყურებს საშას, მის რეაქციას ელოდება. საშა არც კი ინძრევა და სიგარეტს აბოლებს. ტკიპა პალტოდან კიდევ ერთ გაზეთს აძრობს და მზერით სტრიქონებს დაუყვება. რამდენჯერმე გაზეთს უკნიდან საშასკენ გააპარებს თვალს.)

**ტკიპა.** ( აგრძელებს, თან ბოლს იყნოსავს) იცი, რა, საშა? ვილაცამ დაწერა, რომ დედამიწაზე ცხოვრება სულ შემთხვევით წარმოიშვა. იცი, ეგ რას ნიშნავს? რომ არაფერში აზრი არ ყრია. იდიოტი. ( ირონიულად იცინის ). თან ეს სირეგენე გაზეთის მთელ გვერდზე დაუბეჭდავთ. ან ეს. ნახე. აჰ იმ პროჭის ფოტოა. ჰაჰ!

(ტკიპა მეორე ფეხსაცმელს იხდის, ძველ გაზეთებს, რომლებიც შიგნით ჰქონია, მისი ამოტრიალებით ნაგვის ყუთში ჩაუძახებს და ფეხზე იმ გაზეთს იხვევს, რომელშიც დედამიწის ამბავი იყო სტატიად მოთხრობილი. ტკიპა ერთხანს საშას უყურებს. საშა ნებიერად ეწევა სიგარეტს. იგი ხაზგასმით ატრიალებს თავს ტკიპას საპირისპირო მხარეს და პირიდან ბოლს ისე უშვებს, რომ ტკიპას ერთი ბოლქვიც არ მიუვიდეს.)

**ტკიპა.** იცი, მაინც, რა, როგორ მაგრძნობინო თავი უკანასკნელ ნეხვის ჭიად, გეხერხება. მერე კიდევ გიკვირს, რატომ არავის უყვარს ებრაელები. ( საშა მხოლოდ გახედავს. ტკიპა წამოდგება და ძველმანის, გაზეთებისა და ტოტების შეგროვებას იწყებს და გულმოდგინედ აყწობს ერთმანეთზე - ნაგვის ყუთში ცეცხლის დანთებას აპირებს.) რაშია საქმე, რა პრეტენზია გაქვს? გაცეცხლებული ხარ, მაგრამ რატომ, მიზეზს არ იტყვი? წუხელ დამით რომ

არ მოვბრუნდი? ჰა? მაშინ რა, რა, მითხარი. გადავიტან, რაც უნდა იყოს. (საშა კვლავ ზიზღით სავსე მზერას ესვრის, ნაფაზს არტყამს და სხვა მხარეს გამოაბოლებს. ტკიპა ცეცხლის დანთებას იწყებს.) რა ხდება, შვიდ დოლარშია საქმე? ეგეც შემოდელია აგიხსნა. ერთი ნაფაზი დამარტყმევინე, მარტო ერთი. კარგი, რა.

( საშა. თვალს თვალში უყრის და ნამწვავის მონარჩენს აუჩქარებლად ისვრის აალებულ ნაგვის ყუთში. ტკიპა ჯერ ნამწვავის ამოსაღებად გასწევს, მაგრამ უკან ბრუნდება. მეტისმეტად გავრავარებულია ყუთი. საშა სულ ცოტა ხნით განზე გადგება და ცეცხლიდან მომავალ სუნს იყნოსავს.)

**ტკიპა.** ( აგრძელებს) ყარს, არა? ჰაჰ. კი. ბავშვები თამაშობდნენ მანდ, კიდევ ერთი ცოცხალი მტრედი დაწვეს. (ჩიტს ასახიერებს, რომელიც ფრთების ფრთხილით ცდილობს, სიკვდილს გადაურჩეს). მტრედი საშინელ სიმყრალეს ტოვებს, როცა ცოცხლად წვავენ. მაგრამ რა გინდა, რომ ქნა? ბავშვი ბავშვია. (ცეცხლი გვარიანად ძლიერდება, ამიტომ ტკიპა გრძელი სკამისკენ იხევს და საშას სიახლოვეს ჯდება. ) კარგი, კარგი. ლალასთან დავაპირე წასვლა, ერთი ბოთლი მინდოდა ჩვენთვის წამომეღო. ჩვენთვის, ორივესთვის. ერთად რომ დაგვეღია, რა. და მერე, უცებ.. ( დრამატული გამომეტყველებით გამოსცემს შხუილისმაგვარ ხმას). თავში რაღაც ხმამ დამიარა, თვალეში დამიბნელდა .. მართლა ბოლომდე ჩამოიბნელდა. ორი ფუტის სიმაღლეზე შემადგო.

( ტკიპა საშას გახედავს, იმის გასარკვევად, უსმენს თუ არა. საშა ცეცხლზე ხელებს ითბობს. თავს აქნევს და იცინის. იცის, რომ ცრუპენტელობასთან აქვს საქმე. შემოდის ანიტა, რომელსაც შეშფოთება თვალსა და ხელს შუა ემატება.)

**ანიტა.** წასულა.

**ტკიპა.** ვინ?

**ანიტა.** პოლი.

**ტკიპა.** მერე რა?

**ანიტა.** ის, რომ ჯენისაც არ უნახავს.

**ტკიპა.** ჯენი ვინ ჩემი ფეხებია?

**ანიტა.** ჯენი ისაა, მე რომ ყოველკვირა ბოთლში ვუფსამ, სამ დოლარად. კვირაში ერთხელ ნარკოტიკებზე უკეთებენ ანალიზს, ეგ ნარკომანია და ამიტომ მის მაგიერ მე ვუფსამ. ამ დილასაც მე უნდა მექნა ეგ საქმე, მაგრამ გადაიფიქრა. იმედი მქონდა, მაგას მაინც ეყოლებოდა პოლი ნანახი, მაგრამ არა, არ უნახავს. შენ იცნობ პოლის?

**ტკიპა.** ვიცნობ, კი... რას იტყვი, საშა? ბოლო კი სასწრაფო დახმარების მანქანაში ამოვყავი თავი.

**ანიტა.** მე ვუყვარვარ პოლის, იცოდი?

**ტიკა.** ჰაჰ. კი, როგორ არა.

**ანიტა.** ერთად ხომ გინახივართ?

**ტიკა.** ჰაჰ. უჰ... მოკლედ. საშა, ბოლოს სასწრაფო დახმარების მანქანაში ამოვყავი თავი. საავადმყოფოში მიმაქანებდნენ. მდინარის გასწვრივ მიქროდა მანქანა, მე ფანჯრიდან დავიწყე ყურება და იცი, რა, იქაურობა ზუსტად იმ ადგილს ჰგავდა, სადაც მე დავიბადე პოლონეთში, ვისტულას ნაპირას, ოღონდ ვისტულა გაცილებით ლამაზია. ჩვენთან მთებიცაა და ხეებიც.

**ანიტა.** ყველამ იცის, რომ მე ვუყვარვარ.

**ტიკა.** ჰაჰ. ჰო, აბა რა.

**ანიტა.** იქნებ შენ ნახე და გითხრა, სად აპირებდა წასვლას?

**ტიკა.** აღარ მოკეტავ? ეგ არასდროს არავის ელაპარაკება.

**ანიტა.** ეგ ბოლო ხუთი წელია ეგრე. მანამდე სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მართლა კარგი ანეგდოტების მოყოლა იცოდა. ძალიან სასაცილო ვინმე იყო. სულ იცინოდა და იცინოდა. სასწაულ დროს ვატარებდით ერთად მე და პოლი. (სახე უნათდება.) ერთხელ ეს ანეგდოტი მითხრა. (სახე ეძაბება, ცდილობს, გაიხსენოს, მაგრამ ვერ იხსენებს) არ მაგონდება, მაგრამ სასაცილო იყო. ძალიან სასაცილო.

**ანიტა** სცენიდან გადის.

**ტიკა.** მოკლედ, საავადმყოფოში მივდიოდი. ერთი ექიმი დამხვდა იქ, ცალ ყურზე საყურე ეკეთა. ისეთი პატივისცემით ჩამომართვა ხელი. იცი, რა მითხრა? ეგეთი სასწაული შეტევა ჯერ არ მინახავსო. არც ერთხელ. გესმის? (საშა არ უსმენს. თავისი მაგნიტოფონითაა დაკავებული, ახლა მავთულის საკიდით ეწვალება.) მოკლედ, ამ დროს მარჯვენა ჯიბეში ვიყოფ ხელს, იმიტომ რომ ექიმი მარცხენა ხელს მართმევს, ჰოდა, ცარიელი დამხვდა. არაფერია შიგნით. ახლა მერე ჯიბე მოვქექე მეორე ხელით. იქაც არაფერი იყო. მომპარეს. წაიღეს. შვიდი დოლარი. ანდა, ჯიბიდან ამომივარდა, შეტევის დროს. ფეხის გასწვრივ ჩამომიცურდა. შენ როგორ ფიქრობ? იცი, იმ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ... ჯენის სიკვდილზე... ჯენი ხომ გახსოვს. აი, ის სკამი რომ ჰქონდა დათრეული. ხალხი ამბობდა, 25 000 დოლარი უპოვესო. ახლა ზედა მანკეტენიდან მოდის ხალხი და ჩვენ დაგვეძებს. მახსოვს, ერთხელ მთელი ოჯახი დამადგა თავზე და ხელებს მიფათურებდნენ: დედა, ბებია და ორი ბიჭი. გაცოფებულები იყვნენ, პარკინგის პოვნა გაუჭირდათ და ეშინოდათ, რომ დააჯარიმებდნენ, ჩქარობდნენ და კარგად დამჯიჯგნეს. შენ კი ხარ ჭკვიანი, ჯიბეები რომ მოიჭერი. მაგას რომ დაინახავენ, შეგეშვებიან. უფრო ხშირად ჭრის. ჰო. მოკლედ, მგონია, რომ ის ფული მომპარეს. ექიმს კი ვკითხე, ჩემი ფული ხომ არ გინახავს-მეთქი, მაგრამ გაეცინა და



არაფერი უთქვამს. (საშა ხითხითებს.) რა გაცინებს? ეპილეფსია ძალიან სერიოზული ავადმყოფობაა.

**საშა.** ინდიელმა... შენი დედა ვატირე.

**ტკიპა.** მაგრამ ამ ეპილეფსიაშიც არის ერთი კარგი რამე. თუ ეგ გჭირს, ზუსტად იცი, რომ შიზოფრენია არ დაგემართება. რა ინდიელი? ვერ გავიგე, რა ინდიელი?

**საშა.** ინდიელმა დაგინახა.

**ტკიპა.** დამინახა და დამინახა. მაგით რის თქმა გინდა?

**საშა.** ინდიელმა დაგინახა, „ნაით თრეინის“<sup>10</sup> სამ ბოთლს რომ ყიდულობდი.

**ტკიპა.** (შეურაცხყოფილი სახით.) მე? სამ ბოთლ „ნაით თრეინს“?

**საშა.** სამი ბოთლი „ნაით თრეინის“ საყიდლად მე გაგაგზავნე, შენ კი მარტომ დალიე. მაგრამ ინდიელმა დაგინახა. მითხრა, ვთხოვე, ერთი ყლუპი მომასმევიყო.

**ტკიპა.** შენც დაუჯერე, არა?

**საშა.** (თავს უქნევს) ჰო.

**ტკიპა.** ინდიელის გჯერა?

**საშა.** ჰო.

**ტკიპა.** ლოთია. ხელიდან წასული ლოთი.

**საშა.** ინდიელმა მითხრა, რომ ხუთ დოლარად სამი ბოთლი გიყივია, ორი კი საქვაბეში დასაძინებლად გადაგიხდია.

**ტკიპა.** მე?

**საშა.** ჰო, შენ.

**ტკიპა.** საქვაბეშიო?

**საშა.** ჰო. მეხუთე ქუჩაზე, C და D ავენიუებს შორის.

**ტკიპა.** ეპილეფსიის შეტევა მქონდა. საავადმყოფოში დამტოვეს, ორი საათია სულ, რაც გამომიშვეს. თუ ჩემი არგჯერა, წადი და იმ საყურთან ექიმს კითხე, ფული რომ მომპარა.

**საშა.** ინდიელმა თქვა...

---

<sup>10</sup> იაფი ალკოჰოლური სასმელი, ღვინის მდარე სუროგატი.

**ტკიპა.** ერთი მაგის დედაც.. ინდიელის დედაც.. ერთი კარგად შეხედე, ცხვირი ჩამტვრეული აქვს, წინა კბილები აკლია. მერე მე შემომხედე. ( ილიმება, კბილებს აჩვენებს). მაგას რომ შეტევა ეწყება, სახით ეცემა, მე ჰაერში ვიწევი, ნახევარ მეტრზე. მე ფრინველივით შეფვრთხილდები, ეგ დრუნჩით მიწას ხეხავს ( ტკიპა ინდიელის „ტლანქ“ დაცემას ასახიერებს). მე მაგაზე უფრო კობტა შეტევები მაქვს და შურს ჩემი. მე მგონი, ფული სულაც მაგან მომპარა. შურს, იმიტომ, რომ მე დაბადებიდან უფრო იღბლიანი ვარ. ეგ კიდევ დედამოხნულ ინდიელად დაიბადა.

**საშა.** ( ზიზღით). უუჰჰჰ...

**ტკიპა.** მე რომ დავიბადე, დედაჩემმა მაჭამა და ეგრევე მდინარესთან ჩამიყვანა. ზუსტად ზედ შუა ხიდზე დადგა და რწევა დამიწყო. ასევე, რწევა-რწევით, გადაგდებას მიპირებდა, როცა ღმერთმა ბებიაჩემი გამომიგზავნა. ბებიაჩემმა დედაჩემს უთხრა, რომ ჩემი დახრჩობა თითქმის ისეთივე ცუდი საქციელი იქნებოდა, როგორც ჩემი გაჩენა იყო.

**საშა.** ალბათ ძალიან მორწმუნე იყო დედაშენი.

**საშა.** წირვა არ ჩაუგდია.

**საშა.** ინდიელმა თქვა, რომ ...

**ტკიპა.** გეყო, რა. რატომ გამიწყალე გული ამ ინდიელით?

**საშა.** ინდიელმა მითხრა, რომ ღამით წურბელას ევაჭრებოდი. შენ ერთ დოლარს აძლევდი საქვაბეში შესაშვებად, ის ორს გთხოვდა. ეგეც ზუსტად შენნაირია. შურიანი მატყუარა.

**ტკიპა.** ცხოვრებაში კაციშვილის არ შემშურებია.

**საშა.** არქიეპისკოპოსისაც არა?

**ტკიპა.** იმ ჩილეელ არქიეპისკოპოსზე მეკითხები?

**საშა.** ჰო, ჩილეელზე გეუბნები.

**ტკიპა.** სალვატორე მანჩინიზე?

**საშა.** სალვატორე მანჩინიზე. მერე შენ რა, ეგ რომ არქიეპისკოპოსი გახდა? ჩილე სად არის, ეგეც კი არ იცი.

**ტკიპა.** ვიცი, რომ სადღაც არის.

**საშა.** ეეეეეჰჰჰჰ...

**ტკიპა.** მოკლედ, აზრზე არ ვარ, საქვაბეზე რას მეუბნები. არც კი ვყოფილვარ იქ. ყავა მომცეს, სადუზინფექციო ფხვნილი და თინუსის სენდვიჩი, თუ ძალიან გაინტერესებს. აბა, დღეს ჩემი ქექვა და ქავილი თუ გინახავს? აქ ერთი ტილიც აღარ დამრჩა. ნახე.

(ტკიპა სცენაზე მაცურებლისკენ ზურგით დგას და შარვლის ღილების შეხსნას იწყებს, რომ საშას ბოქვენი აჩვენოს. ანიტა თავისი სავაჭრო ურიკით შემოდის.)

**ანიტა.** ინდიელმა მითხრა...

**ტკიპა** ( გაავებული მიუბრუნდება) რა? რა გითხრა ინდიელმა? ჩაიგდე ენა, შე \*\*\*

**ანიტა.** ინდიელმა მითხრა, რომ არ დაუნახავს. მაგრამ მე ინდიელს არ ვენდობი, ეგ სულ იტყუება.

**ტკიპა.** ( ანიტას მიმართ უეცრად ჩასახული სიმპათიით) ზუსტად! რა თქმა უნდა, იტყუება! ( საშას) ხედავ, საშა. ყველა მაგას გეტყვის. ჩემი თუ არ გჯერა, ამას ჰკითხე.

**ანიტა.** ჰო, მაგრამ მაშინ სად არის? სად არის?

**ტკიპა.** იცი, რა უთქვამს ინდიელს ჩემზე? ღამე საქვაბეში გაატარაო. მე! მე და ეს დეამოხნული საქვაბე, აზრზე მოდი.

**საშა.** მოკეტე, ტკიპა... მე დავინახე.

**ანიტა.** ( ბედნიერი) მართლა? ჰოდა, სად არის?

**საშა.** წაიყვანეს.

**ანიტა.** ვინ? პოლიციამ წაიყვანა?

**საშა.** სასწრაფოს მანქანით წაიყვანეს.

**ანიტა.** სასწრაფოს? ოჰ, ღმერთო ჩემო.. რატომ? რატომ? რა მოხდა? რატომ?

**საშა** (გულდამძიმებული) რატომ? რატომ? იმიტომ, რომ მოკვდა.

**ტკიპა.** აუ, მართლა? პოლი.. საწყალი ბიჭი.

**ანიტა.** რა თქვი?

**საშა.** მოკვდა.

( ანიტა თავზარდაცემულია, მუხლებზე ეცემა. მთელი ტანით ირხევა და თავს ლამის სკამს ახლის. წუთიერად სიჩუმე ჩამოვარდება.)

**ანიტა.** მოკვდა?

**საშა.** მოკვდა.

**ანიტა.** ჰო, მაგრამ სად არის? ( სასოწარკვეთილი) სად არის, სად? სად წაიყვანეს?

**საშა.** ჰერთ აილანდზე.

**ანიტა.** კი მაგრამ - ისეთ კარგ ფორმაში იყო. ღმერთო ჩემო. ოჰ, ღმერთო ჩემო. რა მოხდა, რატომ?

**საშა.** პოლიციელებმა თქვეს, რომ გაიყინა. პოტერს ფილდში გადაიყვანეს.

**ანიტა.** შენ თქვი, ჰარტ აილანდზეო.

**საშა.** ეგ ერთი და იგივეა. პოტერს ფილდი ჰარტ აილანდზეა.

( ანიტა ერთხანს კიდევ ირხევა. მერე, მოულოდნელად, უცაბედი იმედით მიმართავს საშას)

**ანიტა.** შეიძლება, ერთი რამე გკითხო? დარწმუნებული ხარ, რომ მოკვდა? იმიტომ, რომ აქაურობას იმდენი რამე შეიძლება მოხდეს. შეიძლება, გაითიშა, ან მაგრად ჩაეძინა. შეიძლება, მთვრალიც იყო. დარწმუნებული ხარ? იმიტომ, რომ ხანდახან ადამიანებს რაღაცები ერთმანეთში ერევათ, ჰგონიათ, რომ ერთს ხედავენ და სინამდვილეში მეორეა. ეგ რომ თქვა, ასი პროცენტით უნდა იყო დარწმუნებული.

**საშა.** სასწრაფომ ისე წაიყვანა, რომ ნაღდად მკვდარი იყო.<sup>11</sup>

**ანიტა** ( ხელისგულებში თავჩარგული ქვითინებს) ეგრეც ვიცოდი.. ის ქაშმირის სვიტერი, მე რომ ვაჩუქე.. ეგ სვიტერი ვიღაც ნამდვილად უბედური ადამიანის იყო. ბედნიერი ადამიანები ქაშმირის ნაქსოვებს არ იცვამენ, მაგრამ უბედურ ადამიანს ყოველთვის ძალიან სცივა ან ძალიან ცხელა და ამიტომ, იმის მაგიერ, რომ ექიმთან წავიდეს, ქაშმირის სვიტერს ყიდულობს. ქაშმირს რომ ჩაიცვამს, ადამიანი მაშინვე ოფლიანდება, მერე შალი მისი ოფლით იჟლინდება და ცუდბედიანობაც ასე გადადის ტანსაცმელზე. შეიძლება, გარეცხო, შეიძლება, ქიმწმენდაში ჩააბარო, მაგრამ ეგეთი ტანსაცმელი კარგს მაინც არაფერს მოგიტანს. თუ მაინცდამაინც ქაშმირის სვიტერის ჩაცმა გინდა, მხრებქვეშ პატარა ბალიშები უნდა ამოიკერო, იმიტომ, რომ ცუდი ბედი იქ გორვდება. მერე შეიძლება, ეგ ბალიშები მოიძრო და გადაყარო. ეგ ყოველთვის ჭრის. მეც ეგ გავაკეთე, ეგრევე, მაგრამ საკმარისი არ გამოდგა. ავიღე თუ არა ეგ ნაქსოვი, ვიგრძენი. მაგრამ ახლა ძალიან გვიანაა. ( ისევ მოთქვამს, მერე პალტოს იხსნის და საშას აჩვენებს.) ხედავ?

**საშა.** რას?

---

<sup>11</sup> პოლ. ვერსიაში ესეცაა: ცოცხალი რომ ყოფილიყო, არ წაიყვანდნენ.

**ანიტა.** ეს სვიტერი სინთეტიკური ძაფითაა მოქსოვილი. სინთეტიკაზე ეგ არ ვრცელდება. ამას გაიხდი, რამდენჯერმე დაფერთხავ ( დაფერთხვას ასახიერებს) და ავი ბედიც დაიფერთხება. ( ლოცულობს) რა ვქნა, რა გავაკეთო?

**საშა.** „ნაით თრეინი“. მე აღარ დამრჩა. დაგალევიანებდი.

**ანიტა.** უნდა ვნახო.

**საშა.** შეუძლებელია. არ შეგიშვებენ.

**ანიტა.** კი მაგრამ, რატომ?

**საშა.** იმიტომ რომ ეგ ციხეა.

**ანიტა.** კი მაგრამ, ციხეში რატომ წაიყვანეს?

**საშა.** სადმე ხომ უნდა წაეყვანათ.

**ანიტა.** ციხე ხომ დამნაშავეებისთვისაა და უსახელო და უდოკუმენტო ხალხისთვის. პოლი თეთრი ამერიკელი იყო, ძირძველი ოჯახიდან.<sup>12</sup> შენ ხარ ძირძველი ამერიკელი?

**საშა.** არა, მე რუსეთიდან ვარ.

**ანიტა.** კათოლიკე ხარ თუ პროტესტანტი?

**საშა.** ებრაელი ვარ.

**ანიტა.** მაშინ შენ სულ სხვა შემთხვევა ყოფილხარ, პოლი კი თეთრი პროტესტანტი ამერიკელი იყო, ესე იგი, ნაღდი ამერიკელი. ასეთი რამე არ უნდა მომხდარიყო.

**ტკიპა.** კარგი, კარგი, მორჩი ყმუილს. მოკლედ, საშა...

**ანიტა.** პოტერს ფილდი. კარგა ხანია, გავსებულობა. ადამიანებს მეხუთე ფენად ამარხავენ ერთმანეთზე. პოლი ამას ვერ აიტანდა.

**ტკიპა.** ყველაფერი პირთამდე გაივსო ამ ქალაქში. ეს პარკიც გამეძგილია. ღმერთო ჩემო! ნიუ-იორკია ეს, დიდი ვაშლი, სან-ხუანისნაირი სანაგვე კი არა ( ამაყად.) ყველაზე მაღალი შენობები და ყველაზე ღრმა საფლავები ჩვენ გვაქვს. არა, საშა?

**ანიტა.** თუ ეგრე ძალიან მოგწონს, შეგიძლია, ოთხ ქურდს ქვეშ ჩაეფინო და ეგენი ზემოდან დაგებრწუნენ.

---

<sup>12</sup> პოლონურ ვერსიაში: ჯონი ბოსტონიდან იყო და მოქალაქე იყო, კარგი ოჯახიდან, არისტოკრატი. შენ ხარ არისტოკრატი?

( ტკიპა აჩქარებით აფუთხრებს განზე და თავის დასაცავად პირჯვარს იწერს)

**ტკიპა.** ეეეეე, ჩაიგდე ენა მუცელში! იოლასთან ერთად პოლონეთში ვაპირებ დაბრუნებას, როცა დაბრუნდება. ჯერ ერთ წელიწადს ვიმუშავებთ, ფულს დავაგროვებთ, მერე პოლონეთში ერთად დავბრუნდებით. სახლს ვიყიდით და მის სახურავზე ამერიკის დროშას დავამაგრებთ. ( ანიტას) გითხარი, როგორ გამოიყურება იოლა? ქერა თმა, დიდი ძუძუები..

**ანიტა.** არც მღვდელს მიიყვანდნენ, არც მე ვარ იქ.. უსახელო საფლავში... არა. ველარავინ შეიძლება მისი საფლავის მონახულებას, ვინღა იპოვის.

**ტკიპა.** დიდი ძუძუები... ან ძებნას ვინ დაუწყებს, რო?

**ანიტა.** მე. არ შეიძლება, ადამიანი ციხეში დაასაფლავო, სადაც მოსანახულებლად ვერავინ მივა. ძალიან ცუდია ეგ მისი სულისთვის.

**ტკიპა.** სულს სულ წიხლზე არ ჰკიდია?... მომისმინე, გეყო ლაყაფი. ფული გაქვს?

**ანიტა.** რა?

**ტკიპა.** ფული, თუ საერთოდ გსმენია - არსებობს ეგეთი რამე... ფული. ფული თუ გაქვს, შეგიძლია, იქიდან გამოიხსნა და სად ჯანდაბაშიც მოგინდება, იქ დაასაფლავო.

**ანიტა.** არანაირი ფული არ მაქვს.

**ტკიპა.** მაშინ გააჯვი და განათლებულ ადამიანებს მუსაიფში ხელს ნუ შეუშლი. ააცვი აქედან, მიდი.

**ანიტა.** საქვაბეში იყავი, მე დაგინახე.

( საშა სიცილით კვდება)

**ანიტა** ( საშას). ერთი მოხუცი კაცი იყო იქ, ხელი კრა, გააგდო და ყველაზე კარგი ადგილი დაითრია, ბოილერთან ყველაზე ახლოს.

**ტკიპა.** ( სახტად დარჩენილი) რაო? რა თქვი?

**ანიტა.** ( საშას, კბილებში ცრის) ოჰ, ეგ არ დაიკარგება, ხომ იცი. მარტო ფეხსაცმელი გაიხადა. ეს სხვა იდიოტები, ყველაფერს რომ მაშინვე იხდიან - ეგრევე ოფლად იწყებენ დაღვრას, კბილებს აღრჭიალებენ, ერთ საათში ბოლი ასდით. ( ტკიპასკენ იშვერს ხელს). ოღონდ ეგ არა, ეგ მაგარი შებერტყილია.

( საშას ეცინება)

**ტკიპა.** ( გაცეცხლებული) ამ ჩათლახის გჯერა, ჩემი - არა? დაუჯერებელია. ( ანიტას)  
მატყუარა ხარ, შენი დედაც. ( საშას, აღშფოთებული) ხუთი წელი ერთად ვცხოვრობთ აქ, ამ  
სკამზე და შენ მე კი არა, ამას უჯერებ? ( ფეხზე წამოდგება, ანიტას ურიკას ხელს ჩაავლებს და  
კრავს. აქედან გაეთრიე, კუდიანო, შარია შენი აქ ყოფნა.

**ანიტა** ( ელვისებურად დაიხრება მისკენ და კბილებიდან ცრის). მოკარება არ გაბედო.

(ტკიპა მისგან უკან იხევს, ანიტა სისინით უტევეს, ხელებს ისე შლის, თითქოს ჯადოსნობს და  
მის სავნებლად შელოცვებს კითხულობს . ტკიპა სამჯერ გადააფურთხებს მხარუკულმა,  
სწრაფად ტრიალდება და სამჯერ გადაიწერს პირჯვარს ავი სულებისგან თავის დასაცავად.)

**ტკიპა.** ( ახლა დაცულად გრძნობს თავს) ჩამშვებო. იცი,რას ვუშვრებოდით შენნაირებს, როცა  
პოლონეთში ომი იყო?

**საშა.** რომელი ომი?

**ტკიპა.** მეორე. მოკეტე. ხელს ნუ მიშლი. ( ანიტას მიმართავს) თავს გადაგპარსავდით.  
დედამოხნულო კოლაბორაციონისტო. ვიცი, პოლონელებიც გპულს. პუერტორიკოელებს  
ყველას გპულთ პოლონელები. თავს დავდებ, არც გაგიგია, შოპენი ვინ იყო.

**საშა.** პოლონელი იყო.

**ტკიპა.** მოკეტე! შენ არ გეკითხები. ამას ვეკითხები. კი, პოლონელი იყო! და შენ ვინ ხარ?

( ანიტა ტკიპას გარშემო წარმოსახვით წრეს ხაზავს და უსისინებს, თითქოს ჯოჯოხეთიდან  
წყევლას იხმობს. ტკიპა აშკარად შეშინებულია და საშას ზურგს უკან იმალება.

**ტკიპა** ( ანიტას) არ მეშინია შენი, ვამპირო. ვერ შემაშინებ. იესო, მარიამი და იოსები  
დამიფარავენ. ხედავ, რას აკეთებს? შემილოცა. მე თუ რამე დამემართა, ეს სასამართლოში  
გამუყნეთ.

**საშა.** ტკიპა, მოკეტე... აღარ შემიძლია უკვე შენი ღრიალის ატანა.

**ტკიპა.** კოლაბორატორო. ნაცისტების ბოზო.

**ანიტა.** ხმა ჩაიგდე, პოლონელო ღორო.

**ტკიპა.** ( საშას მიმართავს) აჰა, ხედავ? დისკრიმინაციას აქვს ადგილი. გაიგონე, რა თქვა? მოწმე  
ხარ. ( საშას) ამას ამ პარკში კაციშვილი ხმას არ თვლის ხმის გაცემის ღირსად.

**ანიტა.** პოლი მელაპარაკებოდა.

**ტკიპა.** პოლის თავის დღეში არავისთვის არაფერი უთქვამს. შენ წითელი კოჭი ხარ? ხუმრობ?  
კაცი მოკვდა, ოღონდ შენ თავიდან მოემორებინე.

**ანიტა.** მოკეტე.. არ იმსახურებდი მისგან სიტყვას და არ გეტყოდა. პოლი ნამდვილი ჯენტლმენი იყო.

**ტკიპა.** უუჰ. აეკიდე იმ კაცს, კიბორჩხალასავით.. არა, ტილივით! ( სისხლის წოვას ასახიერებს და საზიზღარ ხმებს გამოსცემს) მთელი სიცოცხლე გამოსწოვე.

**ანიტა.** ვუყვარდი.

**ტკიპა.** ახლა აღარ უყვარხარ. არა, საშა? ჰა, ჰა, ჰა. მოკლედ, საშა, თქვი ახლა, ვისი უფრო გჯერა. მაგ ბოზანდარას უჯერებ თუ მე?

**საშა.** იცი, თავიდან ბოლომდე ამ ბოზანდარასი მჯერა.

**ტკიპა.** აჰ, ჩემი არა, ხომ?

**საშა.** არა.

**ტკიპა.** კარგი. კიდევ ერთ შანსს მოგცემ.

**საშა.** ნუ შეწუხდები.

**ტკიპა.** კარგი. გასაგებია. წავედი.

( ტკიპა ადგილიდან არ იძვრის. საშას არც ეს აწუხებს)

**ანიტა.** იცი, „პოტერს ფილდი” რას ნიშნავს?

**საშა.** პოტერს ფილდი პოტერს ფილდია, ჩემი გაგებით.

**ანიტა.** იცი, ვინ გადაიხადა ფული, პოტერს ფილდი რომ ეყიდა?

**საშა.** ვინ გადაიხადა?

**ანიტა.** იუდას ფული იყო ეგ. სისხლიანი ფული.

**საშა.** იუდა რა შუაშია ახლა ამ ამბავთან?

**ტკიპა.** შენ ეგ ვინ გგონია? ებრაელია. მე - კათოლიკე ვარ და თან - შენზე ბევრად უკეთესი. თანაც, ამას რომ თავი დავანებოთ, არ გვკვიდია?

**ანიტა.** კათოლიკე ხარ და ეგ არ იცი? იუდას, ქრისტე რომ გასცა, სინდისმა ქენჯნა დაუწყო. ტაძარში წავიდა და ის ოცდაათი ვერცხლი სულ უკან მიუყარა იმ მღვდელთმთავარს.

**ტკიპა.** რაო, ფული ამდებმა მერე ფული უკან დააბრუნა?



**ანიტა.** დიახ. დაუბრუნა.

**ტკიპა.** ოცდაათივე მონეტა?

**ანიტა.** ოცდაათივე ვერცხლი. მაგრამ მღვდელმთავარს გამორთმევა აღარ უნდოდა, ზედ ქრისტეს სისხლი იყო. არავინ იცოდა, რა მოეხერხებინათ იმ ფულისთვის, სანამ ერთ-ერთმა მღვდელმთავარმა არ მოიფიქრა. ამ ფულითო, უთხრა დანარჩენებს, მიწა ვიყიდოთ და ზედ აქ გარდაცვლილი უცხოელები დავასაფლავოთო. მიწის მიყიდვაზე ერთი მექოთნე დაუთანხმებიათ, იქიდან მოდის პოტერს ფილდი - მექოთნის ველია, რა.

( ანიტა დასაჯდომი მერხის გარშემო იწყებს წრიულად სიარულს და ბოლთის ცემას, თან რაღაცაზე ფიქრობს)

**ტკიპა.** ვთქვათ, ეგ სიმართლეა. ეგ ველი ისრაელშია. ჩვენ ნიუ-იორკში ვართ.

**საშა.** შენ წარმოიდგინე, ანიტას ნათქვამში რაღაც სიმართლევ შეიძლება დავინახოთ. დამნაშავეებისთვის ყოველთვის ერთნაირი ადგილი აქვთ გამოყოფილი, უსახელო და უნიშნო ბორცვები.

**ტკიპა.** მაგან თქვა, უცხოელებისთვისო. ის ველი უცხოელებისთვის შეიძინეს.

**საშა.** მერე უცხოელები ჩვენ ვართ.

**ანიტა.** პოლი არ იყო უცხოელი! პოლი თეთრკანიანი ძირძველი ამერიკელი იყო. არა! პოლი არ იყო უცხოელი!

**ტკიპა.** კარგი, კიდევ ერთ შანს მოგცემ. ვისი გჯერა, ესე იგი. ამისი თუ ჩემი?

**საშა.** უკვე გითხარი.

**ტკიპა.** კარგი, საკმარისია. წავედი. ( ჩანს, რომ საშას ეს ოდნავაც არ ანაღვლებს). გესმის, რას ვამბობ? წავედი, აი, ახლავე. მეტს ველარ მნახავ. ამწუთას ერთადერთი მეგობარი დაკარგე, რომელიც ოდესმე გყოლია. ასი პროცენტით მართალი იყო შენი ცოლი, იმ შექსპირას რომ ჩაუგორდა ლოგინში. ( საშა სანაგვე ბუნკერში მუყაოს ყუთს პოლობს, ამოიღებს და მის წმენდას იწყებს. მერე დასაჯდომ მერხზე დებს, გულმოდგინედ კეცავს თავის დაკონკილ ავლადიდებას და შიგნით აწყობს. ტკიპა ნერვიულობას იწყებს.) საშა, გთხოვ. ნუ იქცევი ეგრე. გეყოფა. აგერ, მოვბრუნდი. შემომხედე. მე ვარ. არსად აღარ მივდივარ. ნუ ნერვიულობ. ( საშა ისე იქცევა, თითქოს ტკიპა იქ არ არის).

**ტკიპა** ( აგრძელებს ) ( სერიოზული ინტონაციით) საშა, ისე ნუ იქცევი, ვითომ რუსეთში ბრუნდები. საკმარისია! ნიუ-იორკიდან რუსეთში ჯერ არავინ გადასულა საცხოვრებლად. რა სიგიჟეა. შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ. შენ არ მითხარი, დაბრუნების ერთადერთი გზა ისაა, საელჩოში თუ მიხვალ და განაცხადებ, რომ KGB-ს ინფორმაციას შეუგროვებო? მაგრამ ახლა

ეგ „კაგებეც“ აღარ არსებობს. მორჩა. წავიდა შენი მატარებელი. ამიტომ შენს ლენინგრადშიც ვეღარ დაბრუნდები. ის ლენინგრადიც კი აღარ არსებობს. ხომ თქვი, დედაჩემს ისეთი ვერ დავენახვები, როგორიც ახლა ვარო. კბილებიც კი აღარ გაქვს იმდენი, ბიჭო. დედაშენს როგორ გაუღიმებ - არადა, მოგინდება, რომ გაუღიმო, დედას რომ დაინახავ. ხომ უნდა გაუღიმო? ჰა? საშა!

( ტკიპა. გაუჩუმებლად ლაპარაკობს. ჩქარ-ჩქარა იღებს საშას ტანსაცმელს და ნივთებს ყუთიდან და ისევ სკამზე აწყობს. საშა საპირისპირო მიმართულებით იყურება, თავიდან ამას ვერ ამჩნევს და თავისი ნივთების ყუთში ჩაბრუნებას იწყებს, მაგრამ შემდეგ ტკიპას ამოწყობისას „ჩაიჭერს“. საბოლოოდ, ყველაფერს ყუთში ჩააწყობს და ქუჩისაკენ გაემართება.)

**საშა.** მშვენიერი კბილები მაქვს.

**ტკიპა.** მოკლედ, რაც არ უნდა თქვა, იქ ცხოვრებას ვეღარ შეძლებ.

**საშა.** დედაჩემს ბინა აქვს.

**ტკიპა.** რატომ აკეთებ ამას, იმ საცოდავი შვიდი დოლარის გამო? მაგიტომ ბრუნდები? რა დროს შვიდი დოლარია, როცა შეიძლება, მთელი შენი ცხოვრება შეცდომას დაემსგავსოს?

**ანიტა.** იცოდით, რომ ერთხელ პოლიმ ერთ ბოშას ოცდაჩვიდმეტი დოლარი მისცა? ოცდაჩვიდმეტი დოლარი! არყის საყიდლად. სოსისის, კიდევ რაღაც-რაღაცების. ჩვენც, ყველანი, ვენდეთ იმ ბოშას, იმიტომ რომ კოსტიუმი ეცვა. მოკლედ, აიღო ფული, წავიდა, და სამ საათში მთვრალი დაბრუნდა. ფეხზე ახალი ფეხსაცმელი ეცვა. პოლის ხმა არ ამოუღია.

**საშა.** პოლი ხმას ისედაც არასდროს იღებდა.

( ანიტას თითქოს უცებ გონება გაუნათდება. სცენიდან გარბის და თან თავის ურიკას მიაგორებს. საშა მანიტოფონს პიჯაკის ჯიბეში იღებს და ჯიბეების დასერილ სარჩულს კვლავ შიგნით იტენის.)

**ტკიპა.** მისმინე, საშა. მისმინე. მისმინე. ვიცი, რომ გაცოფებული ხარ ჩემზე, მაგრამ მომხედე. ( ტკიპა სადღაც პალტოს შიგნიდან თითქმის დაცლილ ღვინის ბოთლს იღებს და ცდილობს, ეს ბოთლი საშას ხელში შეაჩეროს.) შენთვის შევინახე. აი. აიღე. ცოტა „ნაით თრეინია“. აიღე. შენთვის მქონდა გადანახული. ცოტა „სტერნო“ ჩავამატე, გრადუსისთვის.

**საშა.** არა.

**ტკიპა.** ( გულდაწყვეტილი) რას ნიშნავს „არა“? ხუმრობ, ხომ? კარგი. „უაილდ აირიშ როუზი“ არაა, მაგრამ კაია. მიდი. მოწრუპე, გასინჯე.

(საშა უარის ნიშნად თავს აქნევს. უკანასკნელად მიმოიხედავს გარეშემო, რათა დარწმუნდეს, რომ არაფერი რჩება.)

**საშა.** აჰა, მგონი მზად ვარ.

( საშა თავის ყუთს დასწვდება.)

**ტკიპა.** ეგრე ნუ ლაპარაკობ. ძალიან მანერვიულებ. ( ყუთის გამორთმევას ცდილობს.) საშა, ასე ნუ წახვალ. შენ ხომ ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი ხარ. იმდენჯერ გვიტარებია მაგარი დრო ერთად. გინდა, სიმართლე ვაღიარო? კარგი. იყოს ეგრე. გეტყვი სიმართლეს. სხვები მოგატყუებენ, შენს გაცურებას შეეცდებიან, - ყველა, ჩემ გარდა. მე მაგის კაცი არ ვარ! შენ კი მიცნობ. ხომ ეგრეა?

**საშა.** გიცნობ. გაუშვი ყუთს ხელი.

**ტკიპა.** ( ყუთს ხელს ექსტრავაგანტული მოძრაობით უშვებს.) კარგი, კარგი. მართლა ვიყავი საქვაბეში იმ ღამით.

**საშა** ( ირონიით) მართლა? არა, ვერ დავიჯერებ.

**ტკიპა.** კი, ვიყავი. და, იცი, კიდევ რა? მთელი „ ნაით თრეინი“ მე თვითონ დავლიე. აი, ამ ერთი ბოთლის გარდა, ხელში რომ მიჭირავს და შენთვის რომ შევინახე. ( საშას ყუთს სწვდება, თავისკენ ექაჩება და ბოლოს ხელიდან გამოგლეჯს. ) არ გაგიშვებ.

**საშა.** მომე. დამიბრუნე.

**ტკიპა.** ( ყუთს განზე სწევს, საშასგან, რაც შეიძლება, შორს) მეტი რა ვქნა? იქნებ, გინდა, რომ სახეშიც შემომაფურთხო? კი ბატონო. მიდი. მიდი, გთხოვ. გთხოვ. მიქენი ეგ სიკეთე. გინდა, ტრაკზე გაკოცო? ( მუხლებზე ეცემა). მაგასაც ვიზამ.

**საშა.** ჰამბურგერი მინდა.

( სიბნელეში ვიღაც ძალივით, საწყალობლად ყმუის)

**ტკიპა.** ისევ ეს დედამოხნული ინდიელია.

( საშა ტკიპას ხელიდან ბოთლს გამოგლეჯს და სვამს. მერე ჯდება, წელში გაიმართება და მუხლს გაშლის. ტკიპა, ბედნიერი, ყუთს დასაჯდომ მერხზე დებს.)

**საშა** ( ყმუილს ყურს უგდებს.) იცი, ძალიან ბევრს სჭირს ეს. დღისით წყნარი და ბუნჩულაა ადამიანი - დადგება ღამე და სირბილი აუტყდებათ, იგზნებიან, ყვირიან, ვიღაცას ეკამათებიან.

( საშა ყმუილს ყურს უგდებს. ყმუილი გრძელდება)

**ტკიპა.** მე მგონი, ეგ ბუნებასთან ერთიანობის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს.

**საშა.** ლენინგრადში რომ ვცხოვრობდი...

**ტკიპა.** ახლა სანქტ-პეტერბურგია ეგ.

**საშა.** მე რომ იქ ვცხოვრობდი, მაშინ ლენინგრადი ერქვა.ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი, ერთი დიდი ოთახი და სამზარეულო გვქონდა. გვერდითა ბინა „კაგებს“ ეკუთვნოდა. დაკითხვებს აწყობდნენ იქ.

**ტკიპა.** გესმოდა რამე?

**საშა.** რა თქმა უნდა. ადამიანების ღმუილი.

**ტკიპა.** ახლებული, იაფი მასალებით აშენებული კომუნისტური სახლი იქნებოდა. ალბათ, კედლებიც თხელი ჰქონდა.

**საშა.** არა, ძველი სახლი იყო, სქელკედლებიანი.

**ტკიპა.** მაშინ, ალბათ, მართლა ძალიან ხმამაღლა ღმუოდა ის ხალხი.

**საშა.** ჰო.

**ტკიპა.** ღამით ღმუოდნენ?

**საშა.** დღისითაც, ღამითაც.

**ტკიპა.** ესე იგი, ორ ცვლად მუშაობდნენ. მმ.. დღისით კიდეც არაუშავს, ხალხი სამსახურშია მაინც.

**საშა.** ჰო, დღისით მეც სკოლაში ვიყავი. ექვს საათზე ვსადილობდით ხოლმე. მამაჩემი, სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, რადიოში მუსიკას რთავდა მთელ ხმაზე, რომ ის ხმები ჩაეხშო.

**ტკიპა.** ესე იგი, მუსიკა უყვარდა.

**საშა.** ვერ იტანდა, მაგრამ ღმუილის მოსმენას ერჩივნა.

**ტკიპა.** მე, მაგალითად, მიყვარს ღმუილი.

**საშა.** მამაჩემს მხატვრობა უყვარდა. ბოსხი, განსაკუთრებით, და მისი „მუსიკალური ჯოჯოხეთი“.

**ტკიპა.** მუსიკალური ჯოჯოხეთი? ეგ რა არის?

**საშა.** ბოსხის ტრიპტიქის ერთ ნაწილს ჰქვია ეგრე. მოკლედ, ბოსხს ჯოჯოხეთში მუსიკალურ საკრავებზე ჯვარცმული ადამიანები ჰყავს დახატული, ტრაკზე პარტიტურები აქვთ ტატუირებული, თავდაყირა ჰკიდებიან და ტრაკში ფლუიტები აქვთ გაყრილი.

**ტკიპა.** ( იცინის). მაგარია, რა გინდა, მომწონს მაგრად.

**საშა.** მამაჩემი ფიქრობდა, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ბოსხმა ჩვენი ლენინგრადის ბინა იწინასწარმეტყველა.

**ტკიპა.** რა?

**საშა.** ჰო, იმიტომ რომ მუსიკას მამაჩემი იმ განწირული ადამიანების ხმის ჩასახშობად იყენებდა. მოკლედ, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მამაჩემს ბოსხმის მიმართ..

**ტკიპა.** ბოსხი, ესე იგი.

**საშა.** იერონიმუს ბოსხი.

**ტკიპა.** ებრაელი იყო, ხომ?

**საშა.** არა.

**ტკიპა.** ებრაულად კი ჟღერს გვარ-სახელი.

**საშა.** გეყო, ტკიპა. როგორ შეიძლება, ეგეთი რეგვენი იყო ადამიანი?

**ტკიპა.** ჰოო? შენ ეგრე ფიქრობ?

**საშა.** ტრიპტიქი მადრიდში ინახება და მამაჩემი სულ იქ ჩასვლაზე ოცნებოდა, მაგრამ ვინ გაუშვა. ამიტომ ისრაელელ ბიძაშვილს სთოვა, მადრიდში გაფრენილიყო, ბოსხი ენახა და მერე მის შესახებ წერილში მოეწერა. ის ქალი მადრიდში მართლა ჩავიდა და მერე მამაჩემს ღია ბარათი გამოუგზავნა, რომელშიც ეწერა: „ ვნახე ბოსხი. ვერ მოისვენებს, სანამ არ განხავს, პრადოში გელის.“ მერე, როცა მამაჩემი ფორმალიზმისთვის დააპატიმრეს, უშიშროებამ დაკითხვა მოუწყო, ბოსხმა რამდენი გადაგიხდა და მეორე საკონტაქტო პირი ვინ იყო.

**ტკიპა.** მერე? ჩაუშვა მამაშენმა?

**საშა.** ტკიპა.. ტკიპა.. ბოსხი ოთხასი წლის წინ გარდაიცვალა.

**ტკიპა.** მაშინ რას იცავდა?

**საშა.** ( ამრეზით) ბოსხი -ებრაელი. მამაჩემს მოეწონებოდა, ეგ რომ გაეგო.

**ტკიპა.** რატომ მიგაქვს ყველაფერი გულთან ახლოს? ყველანი ეგრე ხართ, ებრაელები. ღმერთო ჩემო. მე რომ ანტისემიტი ვიყო, შენთან ერთად ამ სკამზე ხუთ წელიწადს გავატარებდი? კაი, რა. არაფერი მაქვს ებრაელების საწინააღმდეგო.

**საშა.** რომ დავიბადე, დედაჩემთან ჩემს სანახავად ერთი მეზობელი შემოვიდა. თავი დაუქნევია და უთქვამს: „ რა პატარაა და უკვე გამოხუხული ებრაელია.“

**ტკიპა.** ხედავ? ხალხი კარგადაა თქვენდამი განწყობილი. პოლონელი ხომ არ იყო?

**საშა.** არა, რუსი.

**ტკიპა.** იცი, ომის დროს ჩვენს სოფელში რამდენიმე ებრაელი გადაასცეს ნაცისტებს. მაგრამ ეგ იმიტომ მოხდა, რომ ის ხალხი უმეტესად მატარებლებიდან გადმომხტარი პატიმრები იყვნენ. ისედაც განწირულები ხალხი. მოკლედ. მერე გაირკვა, რომ ერთმა, ჩვენსავე სოფელში, ანტონი მასიაკმა, ისე, რომ არავისთვის უთქვამს, ერთი ებრაელი შეიფარა და საბძელში დამალა. კაციშვილს არ გაუგია. მერე, ომი რომ დამთავრდა, ის კაცი სამალავიდან გამოვიდა და ისრაელში დასახლდა. მერე მასიაკისთვის ამანათების და ფულის გზავნა დაიწყო. ყელამდე იყო ეს ჩვენი მასიაკი იმ ტიპის გამოგზავნილ რაღაც-რაღაცებში. აი, რომ ვერ წარმოიდგენ. მასიაკმა მანქანა იყიდა, ყოველ კვირადღეს მაგარი გაპიწკინებული დადიოდა ეკლესიაში, ცოლ-შვილი სულ ნეილონის კაბებში, ამბავი. ეს ჩვენი მეზობლები, ვინც ებრაელები გერმანელებს გადასცა, ხედავდნენ, ღნაოდნენ და თავს ხეებს ურახუნებდნენ. მას მერე, უნდა გითხრა, ერთი ებრაელი აღარ ჩაუშვიათ პოლონეთში. ჩვენს სოფელში ნამდვილად არა, ყოველ შემთხვევაში.

( სანამ ტკიპა ლაპარაკობს, საშა სკამზე წვება და დაძინებას ცდილობს.

ტკიპა იზმორება)

### სცენა 3

( სცენაზე შემოდის პოლიციელი და, სანამ საშას და ტკიპას სძინავთ, მაყურებელთან იწყებს საუბარს)

**პოლიციელი.** <sup>13</sup>მალიან მყიფეა ზღვარი სამოქალაქო უფლებებსა და სამოქალაქო წესრიგს შორის. იცით, რას ნიშნავს ეს? აი, ყური დამიგდეთ. ჩვენ ნიუ-იორკში ვართ, მსოფლიო

---

<sup>13</sup> პოლონურ ვერსიაში ასე იწყება: სულ ცოტა ხნის წინ კომუნისტები ნიუ-იორკში ჟურნალისტებს გზავნიდნენ, რომლებიც აქ უსახლკაროებს იღებდნენ და შემდეგ მოსკოვში თუ სხვაგან ტელევიზიით უჩვენებდნენ, როგორც ნიუ-იორკის ტიპურ მცხოვრებლებს. საკმარისი იყო, რეიგანს ან ბუშს მოსკოვისთვის ადამიანის უფლებების დაცვის თხოვნით მიემართათ, გორბი მაშინვე შეუბრუნებდა

დემოკრატიის ცენტრში, და მთელს ამ მსოფლიოს ჩვენკენ აქვს თვალი და ყური მოპყრობილი. ახლა ესეც ვთქვათ, რა არის ყველაზე მთავარი დემოკრატიისთვის? ( და ხელს მაყურებლისკენ სათითაოდ იშვერს) თქვენ იცით? თქვენ? ( ისე კითხულობს, თითქოს ელის, რომ ყველა ერთხმად უპასუხებს). ყველა ადამიანს ერთმანეთის მსგავსი უფლებები და მსგავსი მოვალეობები აქვს. ნებისმიერი რეგულაცია თანაბრად მეხება მე, ჩემს ყოფილ ცოლს თუ ყველა თქვენგანს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რომ მოვიდეს პარკში, ცეცხლი დაანთოს, სკამზე წამოწვეს და ალკოჰოლური სასმელების სმა დაიწყოს, თან ისე, რომ ბოთლი მოჩანდეს, მასაც ზუსტად ისეთივე პრობლემები შეექმნება, როგორც ქუჩის მაწანაწალას.

( სცენაზე ანიტა შემოდის)

**ანიტა.** იცი, დედაჩემი მოკვდა.

**პოლიციელი.** მაცადე, ვმუშაობ მე ახლა აქ.

**ანიტა.** როცა კვდებოდა, გვერდით ვეჯექი და მისი ხელი ხელში მეჭირა.

**პოლიციელი.** კარგად მოქცეულხარ.

**ანიტა.** და იცი, რა მითხრა, სანამ მოკვდებოდა?

**პოლიციელი.** რა?

**ანიტა.** არაფერი.

**პოლიციელი.** წატი, შენი დედაც.

**ანიტა.** მოიცა, მისმინე, მისმინე. მაგრამ შეეძლო, რაღაც ეთქვა. რაღაც ისეთი, რის გაგებასაც მარტო მე შევძლებდი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანი თუ კვდება, მის გვერდით ვიღაც რომ იყოს. მომაკვდავმა შეიძლება რაღაც თქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი რამე მის ცხოვრებაში.

**პოლიციელი.** ეგრეა. კაციშვილმა არ იცის, რას იტყვის მართლა.

**ანიტა.** ჰოდა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე არ გავიგებ, რა თქვა, სანამ მოკვდებოდა. არ მკითხო ახლა, ვისზე ამბობო! პოლიზე! ჩემს პოლიზე! იმ კაცზე, თქვენ რომ დღეს დილით აქედან გაიტანეთ. იმიტომ რომ - მისმინე, დამიგდე ყური - შეეძლო, რაღაც ჩემზე ეთქვა! იმიტომ, რომ ვუყვარდი!

**პოლიციელი.** თეთრი ტიპი, წვერიანი? ის კაცი, დღეს რომ წაიღო წერილი?

---

პრეტენზიას: „, თქვენ რომ უსახლკაროები გყავთ?“ ახლა სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. თან აღარც გორბაჩოვია პრეზიდენტი და...

ანიტა. კი.

**პოლიციელი.** მეეჭვება. რომ იპოვეს, უკვე მაგარი მკვდარი იყო. ახლა დაახვიე. მიდი. (ანიტა გადის) ჰოდა, სად გავჩერდი? აჰჰ. დემოკრატიაზე. (მაყურებლებს შორის ელეგანტურ ასაკოვან ქალს ირჩევს და მისკენ იშვერს ხელს.) ქალბატონო, თქვენ რომ დღეს პორტოსორითის<sup>14</sup> შენობის იატაკზე გაწოლილიყავით და სიგარეტის წევა დაგეწყით, პოლიცია თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა. ჩვენ ჩვენი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი. ვიწყებთ პირველი ფაზით: ფაზა პირველი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. მოვდივარ თქვენთან და გეუბნებით: „ქალბატონო, თქვენ წესრიგს არღვევთ, როცა აქ წევხართ და სიგარეტს ეწევით. გთხოვთ, წამოდგეთ და სიგარეტი პირიდან გამოიღოთ.“ ახლა, თუ როგორც გეტყვით, ისე მოიტყვევით, მე გაგიღიმებთ და გეტყვით: „გმადლობთ თანამშრომლობისთვის, სასიამოვნო დღეს გიუსრვებთ“ ... ან სასიამოვნო სადამოს. გააჩნია, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში მოხდება ეს. აი, ასე, მოკლედ და მარტივად. მაგრამ თუ თქვენ, ქალბატონო, მეტყვით, „წადი შენი, ნაბიჭვარო!“, მაშინ იძულებული ვიქნები, მეორე ფაზაზე გადავიდე. ფაზა მეორე, ქალბატონო, ნიშნავს, რომ მე თქვენ გაფრთხილებას გაძლევთ. (კიდევ ერთი მაყურებლისკენ იშვერს თითს.) თუ შეიძლება. ჩანაწერების გარეშე. რასაც გეუბნებით, მკაცრად კონფიდენციალურია. ეს რეგულაციები მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა. MIT - ასეთია აბრევიატურა.

**პოლიციელი.** (აგრძელებს). ფაზა მეორე, მაშასადამე. ფაზა მეორე გაფრთხილებაა. მე გეუბნებით: „ქალბატონო, თუ თქვენსას არ მოიშლით, იატაკზე იწვებით და სიგარეტის წევასაც არ შეწყვეტთ, დაჯარიმდებით.“ ახლა თქვენ კიდევ ერთი შანსი გეძლევათ, რომ საქციელი გამოისწოროთ. ჩვენ ვაცლით ადამიანს, ყელში არავის ვწვდებით. მაგრამ თუ თქვენ მპასუხობთ: „ეხლა აორთქლდი აქედან, შე დედამოხნულო“, ან, ქალბატონო, თუ მეუბნებით „ეგ ჯარიმა დაახვიე და ტრაკში გაიკვებე, ბრტყელტერფიანო ნაბიჭვარო!“, მაშინ, იძულებული ვხდები, მესამე ფაზაზე გადავიდე. ესე იგი. ფაზა მესამე იმას გულისხმობს, რომ გარკვეული ზომების მიღება მომიწევს. ესე იგი, ფაზა მესამე უკავშირდება მეოთხე ფაზას, მეხუთე ფაზას და ასე შემდეგ. მაგრამ ჯერ მესამე ფაზაზე ვართ, ოქეი. ფაზა ნომერი სამი სამართალდამაცავისაგან მაღალ სენსიტიურობას მოითხოვს. მესამე ფაზაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თქვენმა ადამიანური ღირსება შეძლებისდაგვარად ნაკლებად შეილახოს. ამიტომ, პოლიციის ოფიცერს ევალეუბა, შეძლებისდაგვარად ამოიცნოს წესრიგის შესაძლო დამრღვევი. ჩვენს შემთხვევაში, თქვენ, ქალბატონო. მაგალითად: მხოლოდ ხელბორკილის დადებას დავჯერდე თუ ხელები ზურგს უკან ამოგიტრიალოთ? იქნებ თავი დაგაწვიწინოთ და აქედან ციმციმ გაგიყვანოთ? იქნებ მეორე ოფიცრის დახმარება დამჭირდეს? (ნელ-ნელა აგრესიულობა ემატება). უნდა დაგაგდოთ და ისე გაგათრიოთ, ხელის კვრით მიგაბრძანოთ თუ ესკორტით წაგიყვანოთ? მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული ის, თუ რა

---

<sup>14</sup> ავტობუსების დიდი სადგური



გადაწყვეტილებას მივიღებ: იმის მიხედვით, მთვრალი ხართ, დაბოლილი თუ ორსულად ბრძანდებით. სადაა თქვენი ვიდეოკამერა? უკაცრავად. წასასვლელი ვარ. დროებით.

#### სცენა 4

( პოლიციელი გასვლისას ხელკეტს გრძელს სკამს დაჰკრავს და საშა და ტკიპა, შემკრთალები, ერთდრულად შეხტებიან. ესენი ორივენი ერთად გაუყვებიან გზას, ხოლო პოლიციელი სცენის უკანა ნაწილში შემოტრიალდება და მათ თვალს ადევნებს. საშა და ტკიპა აჩქარებულად ლაპარაკობენ და ისე მოძრაობენ, თითქოს დროდადრო ერთად იცინიან.)

**ტკიპა.** როგორ გგონია, ვენერაზე არის სიცოცხლე?

**საშა.** არა. იმაზე მეტი სიცოცხლე ვერ იქნება, ვიდრე აქაა.

**ტკიპა.** აქ? ამ პარკში?

**საშა.** საერთოდ. ყველგან.

**ტკიპა.** პიქსი იცი? ვარდისფერ ყუთში რომ ცხოვრობს. შავ ტიპთან ერთად, გაწეწილთან.

**საშა.** შიდსიანი?

**ტკიპა.** არა. აი ის, კარგად რომ ცეკვავს.

( ტკიპა ცოტას წაუცეკვებს.)

**საშა.** მერე? რას მეუბნებოდი პიქსაზე?

**ტკიპა.** შავ ბიჭს და ჰყავს, პოლიციაში მუშაობს. ეგ გოგო ამბობს, რომ თურმე გეგმა მუშავდება, ყველა ჩვენი პრობლემა მოგვარდება.

**საშა.** რა პრობლემები?

**ტკიპა.** უსახლკარობაო.

**საშა.** როგორ?

**ტკიპა.** ერთხელ და სამუდამოდ. დღეს პოლიციამ პარკი ხომ გაწმინდა?

**საშა.** ყოველთვის მაგას არ აკეთებენ? ეგ რა მოგვარებაა.

ტკიპა. კი, მაგრამ ყოველთვის ხომ არ გვითვლიან.

საშა. დღეს დაგვთვალეს?

ტკიპა. კი, დაგვთვალეს.

საშა. ვერაფერს კარგს მაგაში ვერ ვხედავ.

ტკიპა. აჰა. ხომ გუბნები? გეგმაზე მუშაობენ.

საშა. რამდენნი ვიყავით მერე?

ტკიპა. მაგათ დაგვთვალეს, მე ხომ არა. მაგათ ჰკითხე.

საშა. მერე? რის თქმა გინდა?

ტკიპა. ცარიელი ბოთლები ამოიღეს ნაგვიდან თუ არა?

საშა. მერე რა, ყოველთვის იღებენ.

( პოლიციელი სცენიდან გადის.)

ტკიპა. პოლიციის იერიშამდე აკეთებენ ყოველთვის მაგას.

საშა. დათვლას გულისხმობ?

ტკიპა. არა, ცარიელი ბოთლების წაღებას. ესე იგი, წინააღმდეგობის გაწევას ვერ შევძლებთ.

საშა. წინააღმდეგობა არც არასდროს გაგვიწევია.

ტკიპა. ზუსტად მაგიტომ ვფიქრობ, რომ აქ რაღაც მოხდება. და, შეიძლება, საშა..იცი, რა?

საშა. რა შეიძლება?

ტკიპა. მგონი კარგი რამე მოვიფიქრე. ერთი იდეა მაქვს.

საშა. კარგი, რა. აღარ გვინდა იდეები.

ტკიპა. ჰო, მაგრამ, საშა, შეიძლება, თავი გაგვიხდეს დასაცავი.

საშა. თავს ვერ დავიცავთ.

ტკიპა. რატომ ვერა? შეიარაღებული თავდაცვის უფლება გვაქვს. ეგ კონსტიტუციაში გვიწერია.

საშა. ჰო, მაგრამ ყველა ბოთლი წაიღეს.

**ტკიპა.** სწორია. ჰუჰ! ღმერთო! ( ნაგვიდან ერთ ბოთლს იღებს. ეს გადავინახე, ყოველი შემთხვევისთვის. ( ტკიპა ბოთლს ტანისამოსში ჩურთავს. საშა სცენის უკანა ნაწილში გადის და შარდვას იწყებს. ტკიპაც მასთან ჩნდება, თან შეუჩერებლად ლაპარაკობს.) მისმინე, ორი თირკმელი რაში გვჭირდება? ერთ კვირაში ისევ აქ იქნები, სკამიდან სკამზე ციყვივით იხტუნავებ, ჯიბეში კი ოთხასი დოლარი გდება. სრულიად უსარგებლო ორგანოა. ერთი ხომ გაქვს და ეგეც საკმარისია. რამდენი თირკმელი სჭირდება მაინც გონიერ ადამიანს?

**საშა.** მერე? რა საჭიროა ეგ ყველაფერი?

**ტკიპა.** ათი პროცენტი სულ.. არაფერი საჭირო არ არის. მთელ შავ სამუშაოს ჩემ თავზე ვიღებ, ტაქსის გამოვიძახებ, საავადმყოფოს დავუკავშირდები, ჩაგწერ. შენ მაგათთან შეხვედრაც არ დაგჭირდება. ყველაფერს მე ვიზამ. შენ მარტო საწოლში იწვები და კაკაოს დაგალევიანებენ, თინუსის ბუტერბროდებს გაჭმევენ, მომვლელ გოგოებს მიჩქმეტ-მოჩქმეტ. გეუბნები, მე რომ ჩემი თირკმელი ვარშავაში არ გამეყიდა, მანჰეტენზე ვერ მოვხვდებოდი.

( შემოდის ანიტა. ურიკაში ორი ახალი რამ უდევს: ლურჯი საზაფხულო ლაბადა და სათხილამურო ბუტები. აგზნებულია, ჩქარობს, საშას უამბოს, რა კარგი იდეა მოუვიდა.)

**ანიტა.** მისმინე..

**ტკიპა.** დაახვიე. ჩამშვებს არ ველაპარაკებით.

**ანიტა.** ( საშას.) მისმინე.

**ტკიპა.** დაახვიე ახლა აქედან.

**ანიტა.** რვა მტრედი ვნახე.

**ტკიპა.** სად? ( იცინის) მტრედები თავში გყავს.

**საშა.** ( ტკიპას გვერდით დგება.) ოთხას დოლარს იხდიან თირკმელში? შენ რამდენი აიღე?

**ტკიპა.** მე.. მაშინ ბაზარზე უკეთესი ფასები იყო. მისმინე, მაღალი ფასებით ვერ დაიწყებ მოლაპარაკებას. ზომიერი, საშუალო ფასით უნდა დაიწყო. მერე, როგორც კი კონტაქტებს დაამყარებ, საქმეც აეწყო. წელს თირკმელს გაყიდი. გაისად.. ვინ იცის? ინანებ, რომ მე მარტო ათი პროცენტი მიწილადე. ოცის მოცემა მოგინდება, მაგრამ მე მაგდენს არ გამოგართმევ.

**საშა.** რამდენადაც ვიცი, ფასები ბევრად მაღალია.

**ტკიპა.** ნაღდი რუსივით ლაპარაკობ, რა. ყველა რუსს ერთ დღეში უნდა მილიონების შოვნა. პოლი გახსოვს? ორი თირკმლით მოკვდა და რა ხეირი? მაგრად გამოადგა?

**ანიტა.** ( პოლის ხსენებაზე.) მეც მაგას ვამბობ. ეკლესიის წინ. რვა მტრედი ვნახე. დავითვალე.

**საშა.** საიდან იცი, რომ ორი თირკმელი ჰქონდა?

**ტკიპა.** შევთავაზე, შენი წარმომადგენელი ვიქნები-მეთქი.

**საშა.** მიდი, რა. პოლი საერთოდ ხმას არ იღებდა.

**ანიტა.** მოკლედ, ჩემ თავს ვუთხარი, თუ მტრედი ლუწი რაოდენობის იქნებოდა, მაშინ ღმერთი ყველაფრით კმაყოფილია, მაგრამ თუ რაოდენობა კენტი გამოდგებოდა, ესე იგი, ღმერთი თვლის, რომ პოლი გაცილებით მეტს იმსახურებს-მეთქი.

**ტკიპა.** მეტს რას?

**ანიტა.** ცალკე საფლავს, ოჯახის წევრების და მეგობრების გვერდით. თუ კაცი მიწაში ოჯახისგან მოშორებით წევს, ესე იგი, სამუდამო მარტოობისთვისაა განწირული. სანამ ცოცხალი ხარ, ნებისმიერ წამს შეიძლება, რაღაც მოხდეს, მაგრამ სულ სხვაა, როცა მკვდარი ხარ. ყველას აქვს ცალკე საფლავის ქონის უფლება. მაგასაც კი აქვს.

( ანიტა ხელს ტკიპასკენ იშვერს)

**საშა.** მერე ოჯახი ჰყავდა?

**ანიტა.** მისი ოჯახი მე ვარ. ( მერე პარკს მოავლებს მზერას). აქაა მისი ოჯახი.

**საშა.** მერე შენ ხომ თქვი, რომ რვა მტრედი დაითვალე, ესე იგი, ღმერთი კმაყოფილი ყოფილა.

**ანიტა.** აჰ, მაგრამ იცი, რა, მერვე მტრედმა გამომხედა, გამიღიმა, ფრთები შეაფრთხილა და პირდაპირ ცაში აიჭრა. სრულიად თეთრი მტრედი იყო, ნისკარტს ზემოთ ცისფერი ლაქა ჰქონდა. და - შვიდნი დარჩნენ.

**საშა.** აჰა, მაშინ კი.

**ანიტა.** გეუბნები, ესე იგი, ღმერთს უნდა, რომ მე დავმარხო.

**ტკიპა.** მიდი, რა. გაიარე. უკვე დამარხულია და ეგაა.

**ანიტა.** მერე, როგორ დაასაფლავეს? უჩემოდ, უმღვდლოდ. არა, არა. ეგრე ვერ დავტოვებ.

**საშა.** ფული თუ არ გექნა, ვერაფერს მოახერხებ.

**ანიტა.** ცოტა ფული კი მაქვს.

**ტკიპა.** ( ინტერესით) მართლა? ეგ რაღაც არასდროს გითქვამს. რამდენი? დაგვიმტკიცე.

**საშა.** ( აჩერებს). ტკიპა. აქეთ მომხედე.

**ტკიპა.** კარგი, კარგი. მოპარვას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა, ჩემი თვალთ ვნახო. ცნობისმოყვარე კაცი ვარ. რას ამბობდი? რამდენი გაქვს?

**ანიტა** ( ფულს სხეულის სხვადასხვა ნაწილებიდან იღებს და მკერდთან ითვლის.) 19 დოლარი და 50 ცენტი.

**ტკიპა.** ( ერთობ გამომცოცხლებული). ღმერთო ჩემო, ეგ მართლა დიდი ფულია.

( ტკიპას ფულის ნახვა უნდა, მაგრამ ანიტა არ ანებებს, საშას შეჰყურებს. საშა ტკიპას ხელს ისე ადებს, თითქოს აკავებს)

**ანიტა.** ( საშას) შენ გაჩვენებ. მაგას არა.

**საშა.** ( დახედავს) მართლა აქვს.

**ტკიპა.** 19 და 50. ამხელა ფულს თან არ უნდა ატარებდე. წუხელ ერთმა შვიდი დოლარი მომპარა. ( საშას გახედავს და ჩქარ-ჩქარა აგრძელებს) ანუ.. ნაღადად მომპარავდა, რომ არ დამეხარჯა.

(ანიტა ფულს აქუჩებს და ისევ ტანისამოსის სხვადასხვა ჯიბეში იჩურთავს.)

**ტკიპა.** დაჯექი აქ. მოდი, დაჯექი, საყვარელო. მუხლი გაშალე, დაისვენე.

( ანიტა ჯდება, ოღონდ საშას მხარეს. ტკიპა საშასკენ იხრება და ანიტასთან ლაპარაკს აგრძელებს.)

**ტკიპა.** აბა, მოდი, მაგ ფულზე დავილაპარაკოთ. ცხრამეტი და ორმოცდაათი გაქვს და პოლის დასაფლავება გინდა, ხომ სწორად ვამბობ? ( ანიტა თავს უქნევს). ჰოდა, მე გეუბნები, რომ ცხრამეტი და ორმოცდაათი დასაფლავებას კი არა, რას არ ეყოფა! ღმერთო ჩემო! ადამიანის დასაფლავება უფრო ძვირია, ვიდრე საავადმყოფოში დაწოლა, ლიმუზინის დაქირავება ან ბეწვის ქურქი, და ბარე ორი ათასი დოლარი ჯდება.

**ანიტა.** ვიცი ეგ. მართლა ყვეფი ხომ არ გგონივარ? ნიუ-იორკში შენზე ბევრად ადრე ვარ ჩამოსული, შენ ჯერ ქოთანზე იჯექი მაშინ.

**ტკიპა.** კრემაცია. აი, ეგ კი გაცილებით იაფია. ადამიანის კრემაცია რვაასი დოლარი ღირს, ძაღლის - ოთხასი.

**ანიტა.** ოთხასი დოლარი - ძაღლის კრემაცია?

**ტკიპა.** მომისმინე, ცხრამეტ დოლარად ვერ დასაფლავებ, მაგრამ.. თავს უკან გადასწევს, წამოდგება და, ფეხზე მდგარი, ირწევა) ოჰ ოჰ ოჰ.. ( ტკიპა თვალს ხუჭავს და ახლა წინ და უკან აგრძელებს რწევას. საშას და ანიტას ჰგონიათ, რომ, შესაძლოა, ტკიპას ეპილეფსიის შეტევა ეწყება, მაგრამ ამ მდგომარეობიდან უცებ გამოერკვევა.) გენიალური იდეა მომივიდა.

მის სახელზე საკურთხევით რაღაც.. შეგვიძლია, დავლიოთ, შეგვიძლია, ვილოცოთ მისი სულისთვის - მის სულს ეს ამბავი მოეწონებოდა, ჩვენც სიამოვნებას ჩავატანდით და სულიერ კავშირს დავამყარებდით - ზემოდან პოლი და აქედან, პარკიდან, ჩვენ, მისი ოჯახი და მეგობრები. ( ანიტა დგება და სკამის გარშემო ბოლთის ცემას იწყებს, რაღაცაზე ფიქრობს. ტკიპა თვალს არ აცილებს და მერე აგრძელებს, ვითომ ღრმად შეძრული) სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი გარდაცვილილის ცხოვრებაში! ცხრამეტ დოლარად და ორმცდაათ ცენტად ... ღმერთო! ცხრა ბოთლი „ნაით თრეინი“ და სამი პიცა მოგვივიდოდა. არა, „ნაით თრეინი“ არ გვინდა. არაყი! პოლიმ დაიმსახურა! მაგარი კაცი იყო! ზუსტად სამი დღის წინ მეუბნებოდა..

**საშა.** პოლს შენთვის არაფერი უთქვამს.

**ტკიპა** ( დრამატული ტონით) პოლიმ ეგ სულიერი ხერხებით მითხრა! და მე გავუგე.

**ანიტა** ( ბუტბუტით) პოტერს ფილდი ციხის ტერიტორიაზეა.

**ტკიპა.** შეეშვით, დატოვეთ ის კაცი, სადაც არის, მაგის დედა ვატირე.

**საშა.** მისმინე, ანიტა. არაფერია საშინელი არ არის იმაში, რომ პოლი პოტერს ფილდზე დაასაფლავეს. ნამყოფი ვარ, ძალიანაც ლამაზი ადგილია.

**ანიტა.** პოტერს ფილდზე ხარ ნამყოფი?

**ტკიპა.** ნამყოფი? მიდი! ციხის ტერიტორიაზეა ეგ.

**საშა.** თვითონ კუნძულზე არ ვყოფილვარ, მაგრამ იქამდე კი ჩავსულვარ, სადამდეც ბორანი მიდის. მანჭეტენიდან ჯერ მეტროთი მიდიხარ, მერე ავტობუსით - ბრონქსის გავლით, სითი აილენდამდე, მერე ცოტა ფეხითაა სასიარულო ზღვის პროდუქტების რესტორნამდე.. მერე იქნება იახტები, პატარა ნავსადგომი, სამი პოლიციელი და ძაღლი. წითელი, უჯიშო ძაღლი. ცერბერი ჰქვია. ( ჩუმდება და რეაქციას ელის, მაგრამ რაკი არავის ეცინება, მხრებს იჩეჩავს და აგრძელებს.) აი, მანდ მიაქვთ კუბოები მთელი ნიუ-იორკიდან. კოხტად აწყობენ ერთმანეთზე. ყველას თავისი ნომერი აწერია. სამშაბათობით და პარასკევობით ბორანს პატიმრები გადმოჰყავს, იმათ ის კუბოები კუნძულზე მიაქვთ და მინდორთან ახლოს მარხავენ. წყნარი, მშვიდი ადგილია. გარშემო სულ წყალია და უამრავი ჩიტი. რომ ვნახე, ლენინგრადის ზოოპარაკი მომაგონა.

**ტკიპა.** პეტერბურგის.

(ტკიპა ამასობაში ანიტას ურიკას უმიზნებს, მისი სათხილამურო ბუტების მოპარვას უტრიალებს გონებაში. მაგრამ ანიტა მკვეთრად მოტრიალდება და ჩაიჭერს.)

ანიტა. ჩემი ურიკისგან შორს დაიჭირე შენი ბინძური ხელები!

ტკიპა ( უმანკო გამომეტყველებით) რა ლამაზი ფეხსაცმელია. იოლას მოეწონებოდა.

ანიტა. ყიდვა გინდა? ოთხი დოლარი.

ტკიპა. არა, ისე. ვათვალიერებ.

ანიტა ( თითქოს უეცრად გონება გაუნათდა). რა დღეა დღეს?

ტკიპა. დღეს ქუჩის ორივე მხარეს შეიძლება პარკირება, ესე იგი, ორშაბათია. ოთხშაბათი იედუალური დღეა დასალევად. შაბათ-კვირიდან ორი დღე იქნება გასული და მომდევნო შაბათ-კვირამდეც ერთი მაგდენია. ზუსტად შუაგული კვირა გამოდის.

ანიტა. დღეს თუ ოთხშაბათია, ეგ იმას ნიშნავს, რომ პოლი ჯერ ბორანს ელოდება და პარასკევამდე ასე იქნება.

საშა. ეგრე გამოდის.

ტკიპა. მერე?

ანიტა. ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ.

ტკიპა. რა?

საშა. რა?

ანიტა. ესე იგი, მივდივართ და იქიდან მოგვყავს.

ტკიპა. ჩვენ?

საშა. ჩვენ?

ანიტა. ( საშას და ტკიპას). ჰო, თქვენ. თქვენ უნდა წამომყვეთ, წამომაცვანინოთ და მერე აი, პარკში უნდა დავკრძალოთ.

ტკიპა. აქ? სად, რა ადგილას?

ანიტა. ( რომელიღაც ადგილზე მიუთითებს) სადმე, აი, იქ. მანდ რამდენიმე კვირის წინ რაღაც შეაკეთეს, მიწა გათხილი იყო და ჯერ კიდევ ფხვიერი იქნება.

ტკიპა. გესმის, საშა? სულ გაგიჟდა. ( ანიტას). აქ აპირებ პოლის დასაფლავებას?

ანიტა. კი, ზუსტადაც.

ტკიპა. ესე იგი, გინდა, ჩვენ ორნი ციხეში წავიდეთ, მიწიდან ამოვთხაროთ და აქ მოვიტანოთ?

**ანიტა.** შენ თქვი, რომ ოთხშაბათია, ესე იგი, ჯერ არ დაუკრძალავთ. თქვენ მარტო ის მოგეთხოვებათ, კუბოდან ამოყვანოთ და აქ წამოასვენოთ. სხვა არაფერი.

**ტკიპა.** სხვა არაფერი? ნუ გამაცინე. გასართობადაც კი არ გინდა, რომ წამოგვყვე?

**ანიტა.** სულ გამომტერდი, ხომ? მე ამ ურიკას მეტროში არ შემატანინებენ. მეტროში ამის ჩატანა რომ შემემლოს, ბრუკლინში დავბრუნდებოდი, სადაც მთელი ჩემი ავეჯი ინახება.

**საშა.** და გინდა, რომ მთელი ნიუ-იორკი, მთელი ქალაქი ასე გამოვატაროთ?

**ანიტა.** ფეხის ქირას გაძლევთ, ( ტკიპა). და, თუ რამეა, ამ ფეხსაცმელსაც გამოვდივარ.

**ტკიპა.** ფეხსაცმელს? რაში მჭირდება? სულ დაჩხაპნილია.

**საშა.** ანიტა, დახლოებით მაინც თუ ხვდები, რას ამბობ? ეგ დანაშაულია.

**ანიტა.** დანაშაული ის არის, ადამიანებს რომ ძაღლებივით მარხავენ.

**საშა.** დაცვა ჰყავთ იქ. დაგვაპატიმრებენ.

**ანიტა.** ღმერთი დაგიფარავთ.

**საშა.** რომ არ დაგვიფაროს?

**ანიტა.** ცხრამეტი დოლარი და თხუთმეტი ცენტი მაქვს.

**საშა.** ანიტა, მაგას ნურც კი მიხსენებ, გთხოვ.

**ანიტა.** მთელ ცხრამეტნახევარ დოლარს გაძლევთ, ზედაც ფეხსაცმელს.

**საშა.** ანიტა, თავიდან ამოიგდე-მეთქი. არ გამოვა ეს საქმე.

**ტკიპა.** მოიცა. ანიტა სწორს ამბობს. არაფერიც არაა შეუძლებელი. ცხრამეტნახევარი, იქაც ფეხსაცმელი იოლასთვის..

**ანიტა.** ცალ ფეხსაცმელს ახლა მოგცემ, მეორე ცალს - მერე.

**საშა.** რაზე ლაპარაკობ საერთოდ, ნეტავი თუ გესმის? წავედი მე დასაძინებლად.

**ტკიპა.** ( უფრო და უფრო ეგზნება, ფეხზე წამოხტება). არა, საშა. მისმინე. მართლა შეგვიძლია ამის გაკეთება. ადექი. დროს ვკარგავთ. უნდა წავიდეთ. ცოტაც, და სამშაბათი იქნება და შეიძლება გადაგვაფიწყდეს ეს საქმე. ადე... ადექი.

**საშა.** გაგიჟებულხარ.

**ტკიპა.** ( საშას არყევს) არა, არა, არა, საშა. ეს ამერიკაა. მოგიკაკუნებს თუ არა შანსი კარზე, უნდა წამოხტე და ის კარი გაუღო.



**ანიტა.** გთხოვთ, გამიკეთეთ ეს საქმე. პოლის ხსოვნის გამო, ჩემი ხათრით.

(ტკიპა საშას მკლავში სწვდება. საშა ბარბაცით დგება, ანიტა საშას ყუთს იღებს და თავისი ურიკის ძირში დებს.)

**ანიტა** ( საშას) შენს ბარგი-ბარხანაზე სანერვიულო არ გექნება, მე მივხედავ.

( ანიტა საშას ფულს აძლევს. ტკიპას თვალები ენთება)

**ტკიპა.** იცი, რას ვფიქრობ? თუ იუდამ ფული მართლა მიუბრუნა იმათ, ესე იგი, უხერხემლო ვინმე ყოფილა. ეგ თავის შანსს ვერ გამოიყენებდა. დღევანდელ მანჰეტენზე მაგის ადგილი არ იქნებოდა.

( საშას სცენიდან გასასვლელად ექაჩება. ანიტა მარტო დგას. მერე დასაჯდომ მერხს გარს შემოუვლის)

**ანიტა.** მშვიდად იყავი, პოლი. დღეს შინ ბრუნდები.

( შუქი ნელ-ნელა ქრება)

## **პირველი მოქმედების დასასრული**

### **მოქმედება მეორე**

#### **სცენა პირველი**

( სცენა თამაშდება ბრონქსში, ნავსადგომზე, სადაც, სანამ ჰარტ აილენდზე გადაზიდავენ, ერთმანეთზე აწყვია ხის კუბოები. ფიცარნაგზე დაახლოებით ათი კუბო მოჩანს. ისმის ქარის სტვენა და ძაღლის ყეფა. ორი კუბო განზეა გადადებული და თავები აქვს გადახდილი. საშა და ტკიპა მესამე კუბოს გახსნას ცდილობენ.)

**საშა.** არ იღება, ამის დედა ვატირე. ამდენ ლურსმანს ნეტავი რას აჭედებდნენ?

**ტკიპა.** კარგი, ამას შეეშვი. მოდი, ის გავხსნათ. გული მიგრძნობს, ის კუბოა.

( მეორე კუბოსკენ მიდიან და დანითა და რკინის ძალაყინით ცდილობენ მის გახსნას. უეცრად ტკიპა ძირს რაღაცას შენიშნავს. იღებს და საშას აჩვენებს.)

**ტკიპა.** ერთი ამას შეხედე.

**საშა.** რა არის? ფოტოა?

**ტკიპა.** თანაც მაგარი. არა? ამას იოლას გავუგზავნი. მაგარი კოსტიუმია და მაგარი მანქანის გვერდით დგას.

( საშა კუბოს სახურავს ეწვალემა )

**საშა.** ჰო, მაგრამ შენ არ ხარ.

**ტკიპა.** მე არა. მაგრამ მე ვიპოვე.

**საშა.** მერე? შეხედავს და შენ არ ხარ.

**ტკიპა.** ( თავს აქნევს ) ადამიანები იცვლებიან, ხომ იცი.

**საშა.** შავია ტიპი!

**ტკიპა.** შავი არ არის. ( თან ფოტოს აკვირდება ) ძალიან მაგრადაა გარუჯული. ( ახლა ორივე ერთად ეწვალემა კუბოს ) კარგი შესახედი ბიჭია, ჩემი ასაკის. ( კუბოსთან ჯახირს თავს ანებებს ) სულ ცოტათია შავია, კარგი. ლიმონს გადავუსვამ და ეგაა. ოჰ, მოიცა. ამის მეორე ფოტოცაა აქ. თუ მოგეწონება, ერთი შენს დას გაუგზავნე ისრაელში. გაუხარდება.

( ტკიპა მეორე ფოტოს საშას აწვდის. საშა ართმევს, ოღონდ კი ტკიპამ „მოკეტოს“ )

**საშა.** მოდი. მომეხმარე.

**ტკიპა.** ცოტა მოიცა, რა. ეხლა ეგენი ტელევიზორს უყურებენ. ამას იოლას გავუგზავნი, მოკლედ, და სამ კვირაში.. ნახავ.. აჰა, მგონი იხსნება ( სახურავს გულისხმობს ). სამ კვირაში აქ, პარკთან ტაქსი გაჩერდება და იქიდან იოლა გადმოვა.

**საშა.** ამას ყველაზე მეტი ლურსმანი ჰქონია ჩაჭედებული.

**ტკიპა.** ხომ იცი, იოლა როგორი გოგოცაა?

**საშა.** ვიცი, ვიცი.

**ტკიპა.** მაღალი ქუსლები, ღონიერი ფეხები, ასე, მხრებზე, ლამაზი თმა აფენია - შველივით გოგოა. ისეთი ვიწრო წელი აქვს, გარშემო თითებს შემოაწვდენ. მკვრივი ტრაკი.. ძუძუები.. შენ აზრზე არ ხარ, რა ძუძუები აქვს. ქვასავით ძუძუები. ( ამასობაში კუბოს ხსნიან. ტკიპა

შიგნით იყურება.) ერთხელ გამოექანა, საწოლში ისე შემომიხტა და მარჯვენა ძუძუთი კბილი ჩამიმსხვრია.

( ტკიპა საამურ მოგონებებს ეძლევა)

**საშა.** ( საშა მოუთმენლობა ეტყობა, ელის, როდის დახედავს ტკიპა მიცვალებულს ამოსაცნობად). აბა?

**ტკიპა.** ერთი წამი. შემახედე... ტაქსიდან გადმოვა, მძღოლს ექვს დოლარს მისცემს და დაცდას სთხოვს. არა, ეგ არაა. შენი აზრით, ექვსი დოლარი საკმარისი იქნება?

**საშა.** ჯანდაბა. დარწმუნებული ხარ?

**ტკიპა.** შენ თვითონ შეხედე, თუ ჩემი არ გჯერა.

( საშა მოღრეცილი სათვალის გასწორებას ცდილობს. ძაღლის ყეფა ისმის.)

**ტკიპა.** ამ სათვალეს ერთხელ და სამუდამოდ ვერ შეაკეთებ?

**საშა.** ჩვენი ბედი, რომ ძაღლები დაბმული ჰყავთ. კიდევ გადაუგდე ჰოთდოგი.

**ტკიპა.** მეტი აღარ მაქვს.

**საშა.** ორი ცალი იყო. ორივე შეჭამე?

**ტკიპა.** ტილიან ძაღლს ეგეთ კარგ ხორცს ნაღდად ვერ ვაჭმევ. მოდი, აი, ის გავხსნათ. გული მიგრძნობს, მანდ იქნება.

**საშა** ( ამრეხით უყურებს). შენ ამ ბოლოზეც გიგრძნობდა გული.

**ტკიპა.** ღმერთო ჩემო. რაც არ უნდა გავაკეთო, არაფრით არ ხარ კმაყოფილი. ( რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმაამოუღებლად ეწვალეზიან მომდევნო კუბოს. მერე, უცებ, ტკიპა ჩერდება) ექვსი დოლარი რომ მისცეს და დაცდა თხოვოს, მაგრამ ჩემოდანი ტაქსიში დატოვოს, როგორ ფიქრობ, ტაქსისტი ჩემოდანს არ მოჰპარავს? არა. იმიტომ რომ იოლა მაგარი ჭკვიანი გოგოა. სანამ გადმოვა, ტაქსისტის სახელს და ტელეფონის ნომერს ჩაიწერს.

**საშა.** მოკეტე და იმუშავე.

**ტკიპა.** ეს დანარჩენებზე უარესია. რა ჯანდაბისგან აკეთებენ, ჩამეშალა ხელებში. ტაქსიდან გადმოვა, პარკს გამოივლის, ყველა თვალს გამოაყოლებს.. პოლიციელი გაიჯგიმება და ისე მიესალმება. იამაიკელი, ნეკნები რომ ჩამომსხვრია, არაყს შესთავაზებს. პლასტმასის ჭიქით. იოლა ზედაც არ შეაფურთხებს. გზას გააგრძელებს და ჩემს ძებნას განაგრძობს. ბოლოს მეც

დამინახავს.. ( ამასობაში კუბოს პირი ეხსნება) გამოიქცევა ჩემკენ. მე ჩვენს სკამზე ვიჯდები, როგორც ყოველთვის. ალბათ უნდა წამოვდგე, არა? როგორ ფიქრობ შენ, საშა?

**საშა.** მიდი, რა.

**ტკიპა.** კარგი. წამოვდგები და ვეტყვი, ,, კეთილი იყოს შენი მობრძანება შეერთებულ შტატებში“. მოვა, ჩამეხუტება. სულ წიხლზე ეკიდება, დაბანილი ვარ თუ არა, და იცი, რატომ? იმიტომ, რომ იოლა ისეთი ქალია, რომელსაც, თუ კაცი უყვარს, დანარჩენი ჰკიდია ყველაფერი.

**საშა.** მისმინე, ტკიპა..

**ტკიპა.** კარგი. მორჩა. ვმუშაობთ. მეც ვმუშაობ. მეტყვის, ,, მიყვარხარ, ტკიპა. შენს სანახავად ჩამოვედი აქ.“ მერე მაკოცებს, თავისო ქვასავით მაგარი ორი ძუძუთი მომეკრობა და პარკში ყველა დაინახავს, რომ ეს ნამდვილი სიყვარულია. პიქსი ალბათ თავს რომელიმე ხეს შეახლის, იმიტომ რომ თვითონ ერთი წამლის გადამყიდველის ამარა დარჩება, იმ გაწეწილი ტიპის, თავზე რომ ვირთხის ბუდესავით ადევს თმა. იოლას იმ ბუტებს ვაჩუქებ. მოიზომებს და ეგრევე მოერგება, ისე კობტად ექნება... ხელს ჩამკიდებს და ტაქსისკენ ერთად წავალთ.

**საშა.** ( თითს იჭრის) ჯანდაბა.

**ტკიპა.** ინდიელი მიწაზე გაიშხლართება და ეგრევე შეტევას დაიმართებს, იმისთანას, ჯერ ცხოვრებაში რომ არ დამართნია, რაც პირში კბილები დარჩენია, იმათაც ჩაიმტვრევს. შენ კიდევ, საშა - შენ ბედნიერებისგან ატირდები, იმიტომ, რომ ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი ხარ. და რომც იეჭვიანო, მაგას მაინც არ შეიმჩნევ, იმიტომ, რომ ისეთი საწყალი გამოჩნდები, რაკი ამ დედამოხნულ პარკში მოგიწევს დარჩენილი ცხოვრების გატარება შენი ტკიპას გარეშე! ( კუბოს ხსნიან, ტკიპა შიგნით იხედება, საშას მძიმე ბედის წარმოსახვით კმაყოფილი ჩანს). ხედავ? ეგაა, გეუბნებოდი თუ არა. შენ თვითონ ჩახედე.

**საშა.** კარგი. ახლა აქედან გავიტანოთ.

**ტკიპა.** ერთი წუთი. მეცინება. ძალიან სასაცილოდ ვგრძნობ თავს.

**საშა.** რას ნიშნავს, სასაცილოდ?

**ტკიპა.** ჯობია, დავჯდე.

( ტკიპა წაბარბაცდება და თითქმის ვარდება)

**საშა.** ( სასწრაფოდ სტაცებს ხელს და დაიჭერს) ეე, ტკიპა! ტკიპა! ტკიპა-მეთქი! არ ქნა ეგ, გამაგრდი.

( საშა ტკიპას აჯანჯღარებს. ტკიპა ხელიდან უსრიალდება და ძირს დაკრუნჩხული ვარდება. ეპილეფსიის შეტევა აქვს. საშა მის დახმარებას ცდილობს, პირში ხის ნატებს უჭრის.)

საშა. ღმერთო ჩემო...

## სცენა მეორე

(სცენაზე პოლიციელი გამოდის)

**პოლიციელი.** ( ამჯერად სხვა ელევანტურ ქალს მიმართავს) წარმოიდგინეთ, ქალბატონო, რომ პორტ ოსორითიში გამოგიძახეს და მერე მოკვდით. ალბათ, იმედი გაქვთ, რომ თქვენი საქმე დაიხურება. ნურას უკაცრავად. მაგალითად, ერთი საათის წინ პოტერს ფილდიდან ბიჭებმა დამირეკეს. ოთხი კუბო გახსნილი დახვედრიათ, მეხუთე - ცარიელი. ვეუბნები, ზუსტად იცით, რომ მეხუთეშიც ვილაც ესვენა-მეთქი? კი, დარწმუნებულები ვართო. ვეკითხები, დარწმუნებულები ხართ, რომ მკვდარი იყო-მეთქი? კი, დარწმუნებულები არიან. როგორ არიან დარწმუნებულები, აზრზე ვერ მოვდივარ, მაგრამ არიან და მოკალი. ხომ ხვდებით - ეგ ახლა ძალიან ძნელი სათქმელია. ქალაქი კრამიტდაცურებული გიჟებითაა სავსე - ერთი კვირის წინ, წინა ორშაბათს, მორგიდან მირეკავენ. ერთ-ერთი გვამი სადღაც გამქრალა. პროზექტურაში იწვა, ცელოფნის შალითაში, რომელიც ელვა-შესაკრავით იქნებოდა შეკრული. სადილის შემდეგ ბრუნდებოდნენ ექიმები მის გასაკვეთად, ამას კიდევ აუღია და გამქრალა. შალითა ბოლომდე ყოფილა გახსნილი, ადამიანი კი, თითქოს მიწამ უყო პირი, აღარ არის, წასულა. მე თუ მკითხავ, პირველივე გემით პურტო-რიკოში დაბრუნდებოდა. მკითხავ კი არა, მის ადგილას ასე ვიზამდი. ექიმებს ვკითხე, რა შეიძლებოდა, ასეთი მომხდარიყო, ცოცხალი კაცი რომ გვამის შალითაში გამოკარით-მეთქი. ერთი ექიმი მპასუხობს, „ ჩემი აზრით, შეცდომა მოხდა“. ( მხრებს იჩეჩავს) როგორც მოგახსენეთ, პოტერს ფილდიდან შემოვიდა ასეთი ზარი. გვამი დაიკარგა. იქაური მოხელე მეუბნება, რა ვქნა ახლა მეო. ვეუბნები, როგორ გგონია, რა უნდა ქნა, გამოიცანი-მეთქი. აზრზე არ ვარო. წადი, იპოვე ახლა ის კაცი, ამის დედა ვატირე-მეთქი. ( ახლოდან მოახლოებული სირენების ხმა ისმის. პოლიციელი ყურებს ცქცეტს). ოჰო. აგერ, კიდევ რაღაც ხდება, ცინცხალი ამბავია.

( პოლიციელი სცენიდან გადის)

## სცენა მესამე

( საშა და ტკიპა პარკში გრძელ მერხზე სხედან. შუაში პოლი უზით, წვერიანი კაცი, რომელიც წელში გამართული ზის, თავზე კი ბეისბოლის კეპი ახურავს. საშას და პოლის აქეთ-იქიდან უჭირავთ. პოლის სახეზე ფერი არ ადევს, რაც გასაკვირი სულ არაა, რადგან ის მკვდარია. სხვამხრივ კი, ამას თუ არ შევიმჩნევთ, მშვენივრად გამოიყურება.)

**ტიპა.** აბა, საშა, როგორ გამოვიყურები, როცა შეტევა მემართება?

**საშა.** ( ერთ ბოთლს ჩაცლის და ნაგვის ყუთისკენ მოისვრის) ლამაზი ხარ.

**ტიპა.** მართლა? დავფრინავ?

**საშა.** კი, ბარიშნიკოვივით.

**ტიპა.** არ ვიცნობ. ეპილეფსია სჭირს?

**საშა.** არა. ეჭვი მეპარება.

**ტიპა.** რამსიმაღლეზე ავფრინდი?

**საშა.** დაახლოებით ორი ფუტის სიმაღლეზე. სასიხარულოს ბევრს ვერაფერს ვხედავ.

**ტიპა.** დალევა მინდა.

**საშა.** ორი ბოთლი „ნაით თრეინი“ დალიე უკვე და ერთი ჭიქა „სტერნო“.

**ტიპა.** ( გამხიარულებული) მართლა? „სტერნო“ დავლიე? სად ვიშოვე? თუ შენ მიყიდე? რა მაგარი მეგობარი ხარ, საშა. მაგრამ უკვე დამიძთავრდა. უფრო მეტიც გვეკუთვნოდა ანიტასგან.

**საშა.** ის სათხილამურო ბუტები მოგცა.

**ტიპა.** ეგ იოლასთვის მინდა.

**საშა.** და ჩვენი, სამივეს ავტობუსის და მეტროს ფულიც გადაიხადა. მაგრად დამეხმარე. ორივეს თრევა ერთად მომიხდა.

**ტიპა.** ეჰ, კარგი, რა. შეტევა მქონდა იმ წუთის გადატანილი. სხვა ჩემ ადგილას სულ ვერ მოგეხმარებოდა. მე პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს კარგად განვითარებული.

**საშა.** შეამჩნიე, როგორ გვიყურებდა მეტროში პოლიციელი?

**ტიპა.** მეტროში ყველა ჩვენსავით გამოიყურება. გეუბნები, კიდევ ერთ ბოთლს თუ არ გვიყიდის, ამას ხელს გავუშვებ. აბა, ახლა ვნახოთ, თუ შეტყვი, რომელია აქედან ვენერა?

( სამივე, მიცვალებულის ჩათვლით, თავს უკან სწევს და მალლა ცას აკვირდება)

**საშა.** არ ვიცი, შეიძლება, აი, ის, კუდივით რომ აქვს რაღაც.

**ტიპა.** ეგ დიდი დათვის თანავარსკვლავედია. პიქსი-მეთქი, რომ ვამბობდი, მიხვდი, ვის ვგულისხმობდი?

**საშა.** შავ ტიპთან რომ სძინავს, გაწეწილთან.

**ტკიპა.** ჰო, მაგას. მაგან მოისმინა ტელევიზორში, რომ ყველა უსახლკაროს რაკეტაში ჩატენიან და ვენერაზე გადმოსვამენ.

**საშა.** უჰ..

**ტკიპა.** გეუბნები. მეცნიერულად რომ შეამოწმონ, შეუძლია თუ არა ადამიანს ვენერაზე ცხოვრება. წაკითხული მაქვს, შუასაუკუნეებში ზოგიერთის თავიდან მოშორება რომ მოუწოდებოდათ, და თუ ამ ზოგიერთს ადვოკატი არ ჰყავდა, ან ისეთი გიჟი იყო. რომ ადვოკატის დაქირავებაც არ შეეძლო, გემზე დასვამდნენ და ალაღბედზე გაუშვებდნენ შეუსწავლელ მიწებზე. როგორ გგონია, ვინ იყო გემზე კოლუმბთან ერთად? გიჟები, რომლებმაც ადვოკატები ვერ დაიქირავეს.

**საშა.** დიდი პლასტიკის ჩანთა უნდა ვიყიდოთ.

( ტკიპა დგება და მიწის დათვალეირებას იწყებს, მერე - ცელოფნის პარკებს, და ვდილობს, ამათშიც ყველაზე დიდი ამოარჩიოს.)

**ტკიპა.** ეგ რომ არ ვქნათ, ძაღლები დაესევინ.

( საშა გვამს ყურადღებას არ აქცევს. პოლი განზე სრიალდება. საშა მექანიკურად ასწორებს)

**ტკიპა.** წესით, ანიტას უნდა მოეტანა. ( პარკებს ათვალეირებს და ყველაზე პატარას პოლის თავზე აცვამს.) ესენი ძალიან პატარებია. ძალიან მაღალი იყო, ცხონებული, ისეთი კაცისთვის, რომელსაც ეპილეფსია არ სჭირს.

( პოლი ისევ განზე იწყებს დახრას. საშა სიგარეტის ნამწვავს კიდეს აჭრის, მოსაწევად ამზადებს და პოლის ყურადღებას არ აქცევს.)

**საშა.** კაცს ამდენი სისულელის თქმა შეეძლოს, ჯერ შენ გარდა არავინ მინახავს.

**ტკიპა.** ( ჯერაც პოლიეთილენის პარკებს ახარისხებს) არა, იცი, რა, ამის სახეს ვაკვირდები. კარგად გამოიყურება. ამას რომ ეპილეფსია ჰქონოდა, იცი, როგორი სახე ექნებოდა.. ( დადმეჭილ სახეს აჩვენებს). ამისნაირი დიდი ტიპები, ასფალტზე რომ დაეებრტყონ, ნაკერავზე სკდებიან.

( სწორედ იმ წუთს, პოლი გვერდზე ვარდება და თავს სკამს არტყამს. საშა დგება და მჯდომარე პოზაში აბრუნებს. მერე ერთხანს პოლის სახეს აკვირდება. რაღაც არ მოსდის თვალში, რაღაც აწუხებს. მერე კი აცნობიერებს, რაც მოხდა. დაუჯერებელია! სათვალეს მოიხსნის, გაწმენდს და კიდევ ერთხელ შეხედავს, ძალიან ახლოდან.)

**საშა.** ღმერთო ჩემო! ტკიპა! ასწიე ტრაკი, მოდი აქ! სწრაფად! შეხედე!

**ტკიპა.** რა? რა იყო?

**საშა.** შეხედე-მეთქი. კარგად შეხედე. შეხედე!

( ტკიპა და საშა რამდენიმე წამის განმავლობაში ერთად აკვირდებიან. მერე ტკიპა თავში ხელს იტაცებს, სახეს იკაწრავს და ბარბაცებს.)

**ტკიპა.** მართალი ხარ. ჰყავს, მაგრამ ის არ არის. მაგრამ, მოიცა, მაინც, კიდევ ერთხელ შევამოწმებ.

**საშა.** ნეტავი შემოწმება საქმეს რაღას უშველის, ვირისთავო!

**ტკიპა.** კარგი, კარგი. ის არ არის. ვაღიარებ. კარგი. მიყვირე, კიდევ დამიყვირე. მოვითმენ. სრულყოფილი არ ვარ, ვიცი. შენც გაქვს ორი თვალი. რამდენჯერ მითქვამს, შეაკეთებინე ეგ დედააფეთქებული სათვალე. მაშინ ხომ შენც დაინახავდი. რაც შემეძლო, ხომ გავაკეთე. ბნელოდა იქ, შენ სულ მიყვიროდი, მე კიდევ, სადაცაა, შეტევა უნდა დამწყებოდა. კარგი, მაპატიე, მიყვირე, რამდენიც გინდა, თუ გულზე მოგეშვება... მაპატიე, ღვთის გულისათვის, კარგი?

**საშა.** ყველაფერი ჩააფლავე. ეს პოლი არ არის. ახლა ანიტას რას ვეტყვით, რომ მოვა? რას იზამ, ეგ მაინც იცი?

**ტკიპა.** აბა, შენ რა გინდა, რომ ვქნა? უკან დავაბრუნო და დავმარხო? ღმერთო ჩემო! იმას ვინც არ უნდა მოუტანო, მადლობას გეტყვის! თან ნახე, რა კარგად გამოიყურება.

**საშა.** ოხხ. მორჩა, ხმა აღარ ამოიღო!

**ტკიპა.** ნუ მიყვირი! არ მიყვარს, როცა მიყვირი. შენ თვითონ შეხედე, ცოტა უფრო მაღალია, რა. და ოდნავ მეტი თმა აქვს. პირველი სამი ხომ ნაღდად შავები იყვნენ. მაგრად გავრისკეთ. ხომ შეეძლოთ, დავეჭირეთ და საგიჟეში წავეყვანეთ. მერე, არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც ხომ დავკარგავდით.

**საშა.** ( ირგვლივ ბოლთას ცემს) ღმერთო ჩემო! ახლა ანიტას რა უნდა ვუთხრათ?

**ტკიპა.** მეტი ფული უნდა მოვთხოვოთ. რამხელა რისკზე წავედით, რომ აი, ეს ვიღაცა იქიდან წამოგვეღო. არა, მე ამხელა რისკის ფუფუნება სად მაქვს, როცა, სადაცაა, იოლა უნდა ჩამოვიდეს. ერთი შარფი აუწიე, რა, სახე დაუფარე.

**საშა.** აჰჰ! იოლა. იოლა. გეყო ამ იოლას ძახილი და აფერისტობა.

**ტკიპა.** („პოლის“ სახეზე შარფს აფარებს). ჰო. ჩამოვა მალე და ეგრევე გრინპოინტში წავალთ დეიდაჩემთან.

**საშა.** ტკიპა. მოკეტე. შეუძლებელია უკვე ამის მოსმენა.



**ტკიპა.** რა არის შეუძლებელი? დეიდაჩემი ვახსენე.

**საშა.** არანაირი დეიდა შენ გრინპოინტში არ გყავს და თან იოლა უკვე იყო აქ ერთხელ.

**ტკიპა.** აქ იყო? შენ სულ გაგიჟდი, ხო, იცი. ( იცინის) იოლა აქ იყო. ჰა, ჰა. იოლა რომ ჩამოსულიყო, რამენაირად მეცოდინებოდა.

**საშა.** იყო და ეგ შენც იცი.

**ტკიპა.** მე? რაზე ლაპარაკობ, აზრზე არ ვარ. მოკეტე ერთი.

**საშა.** ( სიტყვებს პირდაპირ სახეში აყრის) კი. იყო. ხუთი თვის წინ მოვიდა აქ, გახსოვს? ივლისში. ა? შენ ვითომ აეროპორტშიდან უნდა წამოგეყვანა, მაგრამ სადღაც გამოტყვერი და არ დახვედრიხარ.

**ტკიპა.** ( გულმოკლული იერით) ვითომ რატომ უნდა გამოგმტყვერალიყავი და რატომ არ უნდა დახვედროდი? ერთი მიზეზი დამისახელე.

**საშა.** არ დახვდი, იმიტომ, რომ გრცხვენოდა.

**ტკიპა.** რისი?

( ამასობაში უყურადღებოდ დატოვებული „პოლი“ ისევ ეცემა. საშა ისევ ასწორებს, გაავებული, და მჯდომარე პოზაში აბრუნებს)

**საშა.**( ხელს პარკისკენ იშვერს) ამის. იმიტომ, რომ მანამდე უთხარი, ვითომ სამსაძინებლიანი ბინა გაქვს, მეკარე და მანქანაც გემსახურება.

( საშას და ტკიპას ლამის ცხვირები აქვთ ერთმანეთისთვის მიდებული და ისე ყვირიან)

**ტკიპა.** ტყუილია. იოლას ტყუილს არასდროს ვეტყვოდი. მიყვარს. ჩემს იოლას მოვატყუებდი? ჰაჰ!

**საშა.** გიცადა, გიცადა ეროპორტში, მერე კი, მეორე დღეს, იმ მისამართზე მივიდა, შენ რომ გაუგზავნე.

**ტკიპა.** ( ღრიალებს) ეგრე არ ყოფილა, ტყუილია, ნაბიჭვარო. ხმა, კრინტი აღარ დაძრა, თორემ აქვე მოგკლავ.

**საშა** ( ცდილობს, მისი ხმა დაფაროს და უფრო ხმამაღლა უწყებს ყვირილს) ლალას მისამართი მიეცი, რომლისგანაც არაყს ყიდულობ, ლალამ კი აქ მოიყვანა, პარკში.

**ტკიპა.** (ყურებში თითებს ირჭობს) არც კი გისმენ. ააააააააააააა! არ გისმენ.

**საშა.** მერე, იოლა შენს სამეზნელად რომ მოვიდა, აი, იმ ბუჩქს ამოეფარე და არც გამოსულხარ.

**ტკიპა.** ( ლამის კივის) მოკეტე! მოკეტე!

( ტკიპა საშას ეძგერება. ჩხუბობენ. „პოლი“ მარტოა სკამზე დატოვებული და დროდადრო აქეთ-იქით იხრება, ცოტაც, და პირქვე დაემხოზა მიწაზე)

**ტკიპა** ( გაჰკივის) მატყუარა ხარ, შენი დედაც, როგორც ყველა ებრაელი!

**საშა.** მე ველაპარაკე მაშინ იოლას. ტიროდა , ტიროდა, ვერ ჩერდებოდა. გემუდარებოდა, ბუჩქს უვნიდან გამოსულიყავი, მაგრამ შენ არ გამოდიოდი. მეორე დღესვე გაბრუნდა უკან, პოლონეთში.

**ტკიპა.** ( გაავებით) რუსი ხარ, შენი დედა.. გძულს პოლონელები. თქვენ დახოცეთ პოლონელი ოფიცრები კატინში და მერე გერმანელებს გადააბრალეთ. დამაცა, რა გიყო..

( „პოლი“ , ბოლოს და ბოლოს, აგებს წონასწორობის შესანარჩუნებლად ბრძოლას, სახით ეცემა მიწაზე და ყრუ ხმას გამოსცემს.)

**ტკიპა.** ( ის და საშა ჩხუბს ამთავრებენ) დამაცა.. დამაცა..მორჩა, მეტს ველარასოდეს მნახავ.

( ტკიპა გარბის)

## სცენა მეოთხე

( საშა და „პოლი“ პარკის გრძელ მერხზე გვერდიგვერდ სხედან. შემოდის ანიტა.

სუპერმარკეტის ურიკაზე ბარი აქვს შემოდებული, მის ქვეშ საშას ყუთი ჩანს. ანიტა „პოლის“ შენიშნავს, პირჯვარს გადაიწერს, მერე პირდაპირ სკამისკენ გამოსწევს და „პოლის“ სახეს მიაშტერდება. წუთის შემდეგ ანიტა მუხლის იყრის და ტირილს იწყებს)

**საშა.** ( დაბნეული, ანიტას მრისხანების მოლოდინში) ძალიან ვწუხვარ, ანიტა.. მართლა ძალიან ვწუხვარ.

**ანიტა.** ( „პოლის“ მიმართავს) ღმერთმა გაკურთხოს, პოლი. ღმერთმა გაკურთოს. ( შუბლზე ჯვარს გადასახავს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ლოცულობს. საშას ვერ დაუჯერებია, რომ ანიტამ სხვაობა ვერ შენიშნა და ახლა მისი სულისთვის ლოცულობს. უჭირს დაჯერება, რომ ანიტამ მათი შეცდომა ვერ შეამჩნია. კიდევ ერთხელ დააკვირდება „პოლის“ სახეს. იქნებ თავად ცდება. სამწუხაროდ, არ ცდება. ანიტა კიდევ ერთხელ გადაიწერს პირჯვარს და საშას მიუბრუნდება) უზარმაზარი მადლობა, საშა. ღმერთისაგან დალოცვილი იქნები, ისეთი საქმე გამიკეთე. ვიცი, ეგრე იქნება.

**საშა.** ( აწურული) გმადლობ.. ამინ.

**ანიტა.** ახლა კი შეგვიძლია, დავასაფლავოთ. ( საშას თავის ყუთს უწვდის) აი, შენი რამე-რუმეები. ყველაფერი აქაა. შეგიძლია, შეამოწმო, თუ გინდა. ის მეორე სად არის?

**საშა.** რაღაც ეწყინა და გავარდა.

**ანიტა.** ( ინტერესით) ეწყინა? მაგის წყენინება როგორ მოახერხე? დაბრუნდება?

**საშა.** ალბათ.

**ანიტა.** ( აგზნებულია) იმიტომ ვკითხულობ, რომ მალე უნდა შევუდგეთ საქმეს. ექვს საათზე პოლიცია უკვე აქ იქნება, ჩვენ მანამდე უნდა გვქონდეს ყველაფერი მომთავრებული. ადგილი უკვე შევარჩიე ( სკამის უკან, რომელიღაც მხარეს იშვერს ხელს) აი, იქ. შეხედე. რას იტყვი?

**საშა.** ( მთლად დარწმუნებული არ ჩანს) მშვენიერია.

**ანიტა.** თუმცა, მიწა გაყინულია. უნდა გავალხოთ. დამეხმარე.

( ანიტა ნაგვის ყუთს უახლოვდება, რომელშიც მუგუზალი ჯერაც ღვივის)

**ანიტა.** მოდი, მომეხმარე.

**საშა.** ( მერყევი გამომეტყველებით ეხება ნაგვის ყუთს) თბილია.

**ანიტა.** აი. ( ხელის მტევნებზე შემოსახვევად ნაჭრებს აწოდებს). ნაცარილაა დარჩენილი. მიდი.

( ანიტა და საშა ნაგვის ყუთს სკამის უკან მიათრევენ და მიწაზე გორებას უწყებენ, მერე მიწას ცხელ ნაცარს აყრიან)

**ანიტა.** უკვე ნიშანიც დავადე ადგილს, სადაც უნდა დავასაფლავოთ. მისი სიგრძის იქნება, ხომ მართალი ვარ?

**საშა.** რა თქმა უნდა.

**ანიტა.** ამ ხის ქვეშ. უყვარდა ეგ ხე. ( ამასობაში ნაცრის ბნევასაც ამთავრებენ) კარგი. ახლა მიწის გათბობას დაველოდოთ. როგორ გგონია, ის მეორე მალე დაბრუნდება?

**საშა.** ( მხრებს იჩეჩავს) არ ვიცი.

**ანიტა.** კარგი იქნებოდა, ჩვენ ორზე მეტნი ვყოფილიყავით დღეს აქ. პოლის ხსოვნისთვის ასე აჯობებდა, მაგრამ მე მგონი, ასეც არაუშავს რა. ( ურიკიდან პლასტიკატის ორ ჭიქას, კრეკერებს, ყველს და ქოქოსის კანფეტებს იღებს). ყველაფერ ი მოვიტანე. სულთათანა უნდა წაგვეკითხა, და მერეც ცხრა დღე მისი სულისთვის ლოცვაა საჭირო, მაგრამ ამის დრო აღარ გვაქვს.

**საშა.** არა, აღარ გვაქვს. ( საშა ცდილობს, პოლის საფლავის გასათხრელად ბარით მიწა ამოტეხოს..) ექვსავითაა ეს მიწა.

( ანიტა საკურთხევლისმაგვარ კონსტრუქციას აგებს, ზედ ფერად ლენტებსა და პატარა ბიბლიურ ფიგურებს აწყობს, რომლებსაც თავისი ურიკიდან და პალტოდან გამოაძვრენს. შემდეგ მასზე პატარა თეთრ გადასაფარებელს აფენს და ზედ რამდენიმე სანთელს აწყობს, ყველაზე დიდ სანთელს პოლის ფეხებს შორის მიუჩენს ადგილს და ანთებს.)

**ანიტა.** აი, რაღაც ლენტებიც ვიპოვე.. ყვავილებიც მოვუტანე.

( ანიტა პატარა ფიგურებს წრიულად აწყობს. მერე რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს და თავისი ნამუშევრით ტკბება)

**ანიტა.** შეხედე.

( საშა მიწის თხრას წყვეტს და გრძელი სკამისკენ გამოემართება)

**საშა.** ძალიან კოხტად გაგიკეთებია ყველაფერი.

**ანიტა.** პოლის ფოტო გვჭირდება, აქ, შუაში ჩასადებად, მაგრამ არ გვაქვს. შენ ხომ არ გაქვს რამე ფოტო?

( საშა ერთხანს ანიტას შესცქერის, მერე პალტოს ჯიბეების მოქექვას იწყებს )

**საშა.** აი, რაღაც .. ( ტკიპას ნაპოვნ ფოტოს აწოდებს) რაღაც ეგეთი მაქვს.

**ანიტა** ( ინტერესით ართმევს). ოკ. გადასარევიან. რა კარგად გამოიყურები ამ ფოტოზე. კოსტიუმიც ჩაგიცვამს. მაგარ მანქანასთან დგახარ..

**საშა.** ( ჯერ ანიტას უყურებს, შემდეგ - ფოტოს დახედავს) მე არ ვარ. შავია ეს ტიპი.

**ანიტა.** ჰო.. მართალი ხარ. მაგრამ ლამაზი კაცია და შენი ასაკის. ( ანიტა ფოტოს იღებს და თავისი საკურთხევლის შუაგულში ათავსებს სიყვარულით. საშა მიწის თხრას უბრუნდება. ანიტა „Ave Maria“-ს მღერას იწყებს. მერე ურიკიდან შავ სამგლოვიარო თავშალს იღებს და მხრებზე ისხამს, საკურთხეველს უახლოვდება, მუხლს იყრის, ჯიბიდან კრიალოსანს იღებს და რამდენიმე ლოცვას კითხულობს. როცა მოამთავრებს, ფეხზე დგება და საშას მიუბრუნდება, თან თავშალს ისწორებს.) როგორ მოგწონს?

**საშა.** რა?

**ანიტა.** ეს. Calvin Klein-ია.

**საშა.** აჰა..

**ანიტა.** იარლიყს დახედე, ჩემი თუ არ გჯერა.

**საშა.** სწორია.

**ანიტა.** თუმცა, ნამდვილი კელვინ კლანი არ არის.

**საშა.** არა?

**ანიტა.** ( იარლიყს აჩვენებს) არა.. ხედავ? თეთრი ძაფითაა ნაკერი. კალვინი ამას როგორ იზამდა. ცუდი გვირისტია, ოკრობოკრო, არაპროფესიონალური. ასეთ რამეებში ვერკვევი, სამკერვალოში ვმუშაობდი, დედაჩემთან ერთად. ამ ქვეყანაში რომ ჩამოვედით, მას შემდეგ, ძალიან გაგვიმართლა, ის სამუშაო რომ ვიშოვეთ. თითო პალტოს სარჩულში ოცდათხუთმეტ ცენტს ვაკეთებდი, დედაჩემი - ორმოცდახუთს: სწრაფი იყო და იმიტომ. თან სამუშაო შინ მოჰქონდა. ხანდახან დღე-ღამეში თვრამეტ საათს ვმუშაობდით. ფულს ვაგროვებდით, რომ, როგორც კი გამოგვივიდოდა, პუერტო-რიკოში დავბრუნებულიყავით. პატარა მაღაზიის გახსნა გვინდოდა, ასე წარმოგვედგინა, კარზე ლურჯ-წითელი წარწერა უნდა ჰქონოდა, რომელიც დღე და ღამე იციმციმებდა - საშობაო ხესავით ან პოლიციის იმ მანქანებივით, აქ ჩვენ გარშემო რომ ტრიალებენ ხოლმე. ღამაში იქნებოდა.. დედაჩემი ოცნებობდა, რომ ერთ დღესაც დაბრუნდებოდა მამა, რომელიც ადრე ვიღაც სხვა ქალთან ერთად გაიპარა, შემოვიდოდა ამ ჩვენს მაღაზიაში და გაოცნებისგან - ეს რაები ჩაუდენია ჩემს ცოლ-შვილსო, ყბა ჩამოუვარდებოდა. მერე დედაც, ასე წარმოედგინა, გამოვიდოდა უკანა ოთახიდან და ამაყად დაენახვებოდა მამაჩემს. ეტყოდა, ,, ჰო, მე გავაკეთე ეს, მე მოვაწყე აქ ყველაფერი, შენ აქ არაფერი გესაქმება“. მერე იმ შუქების ციმციმში მამა მუხლებზე დაეცემოდა, შეევედრებოდა, მას დაბრუნებოდა, დედაჩემზე ვამბობ, - მასთან მუშაობის საშუალება მიეცა, რამე, რუმე - მაგრამ დედაჩემი ამაყად გატრიალდებოდა, გავიდოდა და კარს გამოუჯახუნებდა. მერე დედა, მე და ჩემი ძმა ამაზე ბევრს ვიცინებდით, სიცილით დავიხოცებოდით, მამა კი იმ კახპას დაუბრუნდებოდა, პირში ჩალაგამოვლებული.

**საშა.** მერე რა მოხდა?

**ანიტა.** დედაჩემი გარდაიცვალა. რაც დაგროვილი გვქონდა, თითქმის ყველაფერი იმაზე დავხარჯე, რომ პუერტო-რიკოში დამესაფლავებინა. დანარჩენი ჩემმა ძმამ მოიპარა და ციხეშიც ჩასვეს. მე კდიევ ბრუკლინში ვეღარ ვბრუნდები, იმიტომ რომ ამ ჩემი ურიკით მეტროში არ შემიშვებენ, ამიტომ მთელი ჩემი ავეჯი ჩემი ძველი ბინის პატრონთან რჩება.

**საშა.** ბინის პატრონთან რატომ?

**ანიტა.** იმიტომ რომ, როცა სამსახურიდან გამომიშვეს, ავეჯი იმან დაიტოვა. მაგრამ მისი უკან დაბრუნება შემიძლია, როგორც კი ბრუკლინში დავბრუნდები. უბრალოდ მოსაფიქრებელი მაქვს, როგორ.

**საშა.** (თხრის) მგონი, ცოტა გავაფხვიერე..

**ანიტა.** ჯერ მითხრა, რომ შემდეგ, ბინაში დავრჩენილიყავი, თუ მაგასთან „იმასვიზამდი“. არცერთი ქალი არ გაუშვია ხელიდან, ვინც მის სახლში ცხოვრობდა. ძალიან სქელი იყო, მაგრამ დავთანხმდი, იმიტომ რომ .. აბა, ავეჯი სად წამელო? მაგრამ მერე ეს ამბავი მისი ცოლის ყურამდე მივიდა, იმან ერთი ამბავი დამაწია და, მოკლედ, ბინიდან ერთად გამაგდეს. მაგრამ მე ჩემი ძველი სამსახურიდან ველოდები ზარს, მოსწონდათ, როგორც ვმუშაობდი. ძალიან სწრაფი ვარ, ოღონდ ეგაა, რომ ხშირად ვავადმყოფობდი, ძალიან ციოდა სამკერვალოში. ( ანიტა საშას ტელეფონს აჩვენებს, რომელიც ურიკაში უდევს) ახლა ტელეფონი მაქვს, ესე იგი, მუშაობის დაწყება შემიძლია, მაგრამ ამის დასატენი ადგილი უნდა მოვძებნო. ცოტა ცხელი შოკოლადი, ყველი და კრეკერები მოვიტანე. ისე მქონდა ჩაფიქრებული, დაკრძალვის მერე ვაჭმევ-მეთქი, მაგრამ შეგვიძლია, ახლავე ვჭამოთ. მე შოკოლადს მოვამზადებ და შიგნით ყველს ჩავადნობ.

**საშა.** ( ამ ყველაფერს გაცეხული დაჰყურებს) დასალევიც ხომ არ გაქვს სადმე პატარა ბოთლით?

**ანიტა.** არა. მაგრამ, სამაგიეროდ, ეს მოგიტანე. ( სიგარეტს აწვდის, სანთებელას უნთებს და მერე იმ სანთელსაც უკიდებს, პოლის რომ ფეხებს შორის უდევს). სამკერვალოში ფილტვის ემფიზემა ავიკიდე, ამიტომ სიგარეტს ვეღარ ვეწევი. მაგრად ვიცი რამე-რუმეების დაძრობა, არა?

( საშა ბედნიერი სახით აბოლებს. ანიტა ცხელი წყლის გარეშე აკეთებს შოკოლადს - ჭიქაში კაკაოს ყრის და გატეხილი მაკრატლით ურევს. მერე საშას ფინჯანს და კრეკერებს აწვდის. ორივენი სვამენ და ჭამენ)

**საშა.** სიგარეტს დაყნოსავს.) რა უცნაური სუნი აქვს.

( ორივეს დამწვრის სუნი მისდის. ერთად გახედავენ პოლის. პოლის ბოლი გასდის - ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც ანიტამ სანთელი ჩაუდო - ფეხებს შორიდან.)

**ანიტა.** ღმერთო ჩემო. პოლი იწვის.

( ანიტა და საშა ცეცხლს ებრძვიან. საშა პოლის თავის ცხელ შოკოლადს ასხამს.)

**ანიტა.** ( თან პოლის ტანისამოსის მოწესრიგებს ცდილობს.) მე რომ გავიცანი, წვერი არ ჰქონდა, ხომ იცი. პარკში პირველად რომ მოვიდა, სახე ბოლომდე ჰქონდა გაპარსული და ძალიან სასაცილო ვინმე იყო. ლუდის ქილა მომაწოდა და ანეგდოტს ანეგდოტზე მიყვებოდა. ყვებოდა და თან ლუდს წრუპავდა, მოწრუპავდა - ანეგდოტს იტყოდა, მოწრუპავდა - მეორეს გამოაცხობდა. ანეგდოტები და ლუდი. აი, ეგეთი სასაცილო კაცი იყო. მერე, იმავე დღეს, ისტრივერზე ჩავედით, ისე, ვისხედით, ვლაპარაკობდით. მშვენიერი დღე იყო. მზე ანათებდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, მდინარეზე კატერები დასრიალებდნენ.. მერე მოვიდა პოლიცია. ორნი იყვნენ. ერთი მაღალი, მეორე - დაბალი. დაიწყეს, მდინარის ნაპირას სექსი გქონდათო, მაღალმა. აზრზე არ ვარ, საიდან მოუვიდა ეგ აზრი. ჩვენც ვუთხართ, ეგრე არაა, მარტო

ლუდს ვსვამდით და ვიცინოდით-თქო. მაგრამ იმ დიდმა არ დაგვიჯერა. უნდოდა, კაბა ამეწია და მეჩვენებინა, მეცვა თუ არა საცვალი. აწევა დავაპირე, იმიტომ რომ ნამდვილად მეცვა, მაგრამ პოლიმ კაბა არაფრის დიდებით არ ამაწევინა. რომ ამოუშვა რქები, ჭკუიდან კინალამ გადადგა.. მაგრამ ის პოლიციელიც გაჯიქებული იყო. დაიწყო ერთი გაწევ-გამოწევა. და პოლიმ, იცი, რა უთხრა?

**საშა.** რა?

( ანიტა გრძელ მერხზე ჯდება. საშას ახლა ცალ მხარეს ის ჰყავს და მეორე მხარეს - პოლი.)

**ანიტა.** უთხრა, ჩემი ქალია და საცვალს არ გაჩვენებსო. მაშინ პოლიციელი დაემუქრა, განზე გადაექი ან მტკივნეულად გითავაზებო.

**საშა.** მერე რა მოხდა?

**ანიტა.** თავში ხელჯოხების რტყმა დაუწყეს. მერე ორივეს ხელბორკილი დაგვადეს და პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანეს.

**საშა.** მერე?

**ანიტა.** მე გამომიშვეს. პოლი კი დატოვეს. რამდენიმე დღე ველოდებოდი შენობის გარეთ მის გამოჩენას, მერე იქიდან დამიფრინეს - მოშორდი აქაურობასო. მოვედი აქ, პარკში, და აქ გავაგრძელე ლოდინი. ვუყვარდი, ხომ? შენ არ გეჩვენება ასე? იმის მერე, რაც გააკეთა! იმის მერე, რაც მითხრა! ჩემი ქალიაო. რომ არ ვყვარებოდი, არც პოლიციელისთვის საცვლის ჩვენებას დამიშლიდა და ზედაც მთხოვდა, იმათთვის მინეტი გამეკეთებინა. პირიქით, მიცავდა. ძალიან დიდხანს ველოდე აქ. მაგრამ არა და არ გამოჩნდა, სანამ ხუთი წელიწადი არ გავიდა. მე მაშინვე ვიცანი, როგორც კი დავინახე, მაგრამ იცი, რა?

**საშა.** რა?

**ანიტა.** იმან ვერ მიცნო.

**საშა.** ვერა?

**ანიტა.** გვერდით ისე ჩამიარა, ჩემთვის არც კი შემოუხედავს. თავიდან ვიფიქრე, ალბათ ვპულვარ-მეთქი. მაგასაც გავიგებდი, ხომ გესმის, ციხეში იმდენი ტანჯვა გადაიტანა. პოლისაც ვუთხარი, მესმის შენი-მეთქი. ერთი კი მომაშტერდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე მგონი, მიცნო. მაგრამ თავს ასე მაჩვენებდა. როგორ შეიძლება, ვერ იცნო ადამიანი, რომელიც გიყვარს? ხომ ჰქონდა ნათქვამი, ჩემი ქალიაო, მეც გავახსენე. ერთი ისე შემომხედა, თითქოს აღარაფერი ახსოვდა და თავი ასე გადააქნია.

( ანიტა თავს აქეთ-იქით აქნევს)

**საშა.** არაფერი უთქვამს?

ანიტა. მარტო თავის თავს ელაპარაკებოდა. ძალიან შეიცვალა. ფიზიკურადაც. იცი, რა?

საშა. ( ნაზად.) რა?

ანიტა. ხანდახან ვფიქრობდი, რომ იქნებ არც იყო პოლი. მაგრამ მერე ვხვდებოდი, რომ ის იქნებოდა. სხვა ვინ, პოლი იყო. ვიცი, რომ ის იყო. ( საშას სახეში შეაცქერდება) აბა, შენ ხომ არ იქნები პოლი, არა?

( საშა თავს ნალვლიანად აქნევს, მერე მხარზე ხელს ხვევს და თავისკენ იზიდავს.)

( სცენაზე შუქი ნელ-ნელა ქრება)

## სცენა 5

პოლიციელი. ხედავ, რა უცებ იპოვეს? ამათ ცოტა მაგრად უნდა მოუჭირო ხელი. უნდა იცოდე, როგორ დაელაპარაკო. პოლიციელისათვის გამოსადეგი ფსიქოლოგიის ანაბანაა. ვუთხარი ( ღრიალით), „მიპოვეთ სასწრაფოდ ის დაწყვევლილი გვამი!“ ( სასიამოვნო ტონალობით) და ხედავთ, რა მოხდა? შეთანხმებულზე ექვსით მეტი გვამით მომადგნენ. სულო და გულო.. აგერ მაქვს ყველა, როგორ გვამიც გაგეხარდება.. ჰა, ჰა.. ბოდიშს ვიხდი. ასეთი სქელკანიანი არ უნდა ვიყო. არც ვარ სინამდვილეში! მეცოდებიან კიდევ ეს ძუნძულიანები, მაგრამ ჩემი სამუშაო მაქვს შესასრულებელი ( გვამებისკენ გაიხედავს) ერთი ბრუკლინის ხიდის ქვეშ იპოვე, ორი ბრონქსის სამხრეთი ზონიდან შემოგვივიდა, სამი - ავტობუსების ტერმინალის მიდამოებიდან. 43-ე, 42-ე ზონებიდან, აი, დაახლოებით მაგ მიდამოებიდან. არ ვიცი, იცით თუ არა: დღეს, პოლიციის მონაცემებით, უსახლკაროების ყველაზე დიდი ოდენობით ქალაქ ნიუ-იორკში ზუსტად ეს უბანი გამოირჩევა. მე გეტყვით, რატომაც. იმიტომ რომ ამ ქვეყანაში ყველაზე პატარა, ყველაზე მიგდებულ ქალაქსაც კი უფრო გონივრული პოლიტიკა აქვს მაწანწალების მიმართ, ვიდრე ნიუ-იორკს, იციან, როგორ მოიშორონ ესენი თავიდან. ხსნა მოიგონეს, გრეიჰაუნდის<sup>15</sup>მეთოდი ჰქვია. ოჰ, კარგი რა, არ გაგიგონიათ? უყიდიან უსახლკაროს ნიუ-იორკის ბილეთს .. უკანა გზისას არა, რა თქმა უნდა. ასე გროვდებიან ეს მამაძაღვები პორტ ოსორითის სადგურთან და მერე აქედან ფეხს აღარ იცვლიან. არიან აქ, მერე, აი, ყველაფერი ასე მთავრდება ( იმ შალითებისკენ იშვერს ხელს, რომლებითაც გვამები მოუტანეს). ამათგან მარტო ერთი იყო თეთრკანიანი და წვერიანი. 62-ე ქუჩის და მეხუთე ავენიუს კუთხის სახლში, სარდაფში იპოვეს. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოხვდა იქ, მაგრამ ნამდვილად იქ ბრძანდებოდა. ჩემთვის სულერთია. რაკი იპოვეს და

<sup>15</sup> საქალაქთაშორისო ავტობუსების დიდი სადგურები აშშ-ში.



მოაზრებანეს, ჩემი რა მიდის. რაკი სხვა არანაირი პრობლემა არ იკვეთება, საქმეც დაიხურება. ( რაცის ჩასძახის). ახლა მალე მერთან გვაქვს დანიშნული შეხვედრა, გადასარევი იდეები აქვს ტომპკინს სკვერ პარკის გაწმენდასთან დაკავშირებით. მაგ კაცს კი ნამდვილად არ სძინავს თავის სამსახურში, ზოგ-ზოგებისგან განსხვავებით, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ არანაირ ფულად არ მიღირს მერის სამსახური. მერს სირბილე მოეთხოვება, მთელი ამბავი. მაგრამ მე ვენდობი მაგ კაცს! ცდილობს მაინცაა. რომ დაგნიშავენ, რაღაცის გაკეთება მაინც უნდა სცადო, ეგრე არაა?

( პოლიციელი გადის)

## სცენა 6

( ანიტა და საშა გრძელი მერხის უკან მიდი-მოდიან: ფეხებით მიწას ტკეპნიან იმ ადგილას, სადაც გვამი დაასაფლავეს. თავიდან ერთხანს ისე აღიქმება ეს მოძრაობა, თითქოს „პოლის“ საფლავზე ცეკვავენ.)

**ანიტა.** რაღაცას გკითხავ, ხომ შეიძლება?

**საშა.** რაღაც უნდა დავლიო. ცოტა რამე უნდა დავლიო.

**ანიტა.** ცოლი გყავს?

**საშა.** ( ანიტას გახედავს.) გაშორებულები ვართ. ალბათ, უკვე ეგრეა.

**ანიტა.** ეგ კარგია. ძალიან კარგი. არ მომინდებოდა ცოლიან კაცთან საქმის დაჭერა. ჩემი ბინის პატრონს ხომ ცოლი ჰყავდა.

( საშა, ცოტა არ იყოს, გაოგნებული უყურებს , ძალიან სწრაფად ვითარდება ანიტასთვის მოვლენები)

**საშა.** მე მგონი, უკვე კარგად გავტკეპნეთ. მიწისპირს გაუთანაბრდა, არა?

**ანიტა.** ( კიდისკენ მიუთითებს) კიდია ცოტა კიდევ დასატკეპნი. პოლიციამ რომ ეგ შემადლება შეამჩნიოს, ამოთხრიან. ( თვითონაც ტკეპნას იწყებს). აი, აი, აქ.

( ორივე მიწას ტკეპნის, თან საუბარს აგრძელებენ)

ანიტა. მერე, ახლა სად არის შენი ცოლი?

საშა. სადღაც ზედა მანჰეტენზე. ზუსტად არ ვიცი. მიმატოვა.

ანიტა. არ გინდა ალბათ მასზე ლაპარაკი, ხომ?

საშა. რატომ, შემძლია მასზე ლაპარაკი.

ანიტა. არა, თუ არ გინდა, არც ვილაპარაკოთ... რა მოხდა, რატომ დაშორდით?

საშა. რემონტს ვუკეთებდი ერთ რუსს.. კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. რაღაც წიგნს წერდა, ოღონდ ხელით, ჰოდა, მითხრა, კომპიუტერი თუ გაქვს და შენი ცოლი ზედ ტექსტს თუ ამიკრიფავს, რაღაც ფულს თქვენც გააკეთებთო. რემონტში აღებული მთელი ფულით ჩემს ცოლს კომპიუტერი ვუყიდე და იმ ტიპისთვის ტექტის ბეჭდვა დაიწყო. მაგარი წარმატება ხვდა მის წიგნს.. აღმოაჩინა, რომ შექსპირი ქალი იყო.. აღმოაჩინა და თან დაამტკიცა. როგორც კი პოპულარობა მოიპოვა, ჩემი ცოლი მასთან გადაბარგდა. კომპიუტერიც თან წაიღო.

ანიტა. შენ რა ქენი?

საშა. სხვა ბინის რემონტზე გადავედი, ბრაიტონ ბიჩზე.

ანიტა. ეგ ბრუკლინშია.

საშა. კი. პატარა ოდესაა, ეგრე ემახიან. იქ ერთი ძველი შენობა იყო, შიგნით არავინ ცხოვრობდა. ერთხელაც, სამუშაო რომ დავამთავრე, ორი ბოთლი არყით მანდ დავრჩი, კარგად გამოვთვერი, კარები ჩავკეტე, მერე კი, იქიდან რომ ვერ გავსულიყავი, გასაღები ფანჯრიდან გადავაგდე და იქაურობას ცეცხლი წავუკიდე. მერე გადმოვხტი.

ანიტა. რატომ გადმოხტი?

საშა. ძალიან დამცხა.

ანიტა. ღმერთო ჩემო. გადარეული რუსი ხარ, ვიცი თქვენი ამბები, გამიგონია.

საშა. მეორე სართული იყო, ფეხი მოვიტეხე, სულ ეგაა.

ანიტა. რატომ გააკეთე ეგ?

საშა. მიყვარდა ის ქალი.

ანიტა. ( საქმის მცოდნის გამომეტყველებით) აჰჰჰ.

საშა. მეგონა, დაბრუნდებოდა.

ანიტა. რატომ გეგონა?

**საშა.** მაშინ ლოგიკურად მეჩვენებოდა.. ახლა, რა თქმა უნდა, აღარ.. ჰო, მოკლედ, აი, ასე იყო ყველაფერი .

**ანიტა.** ჰო. კარგად მესმის, რასაც ამბობ.

**საშა.** ახლა ცოტა ფეხს ვითრევ, მაგრამ სამაგიეროდ, მერე სოციალური დახმარება მერგო...

**ანიტა.** ვერანაირი სოციალური დახმარება ვერ გერგება, როცა პარკში ცხოვრობ. სოციალური დახმარების მისაღებად მისამართი უნდა გქონდეს.

**საშა.** იმას კი არ ვამბობ, რომ ახლა ვარ სოციალურ დახმარებაზე. ვამბობ, მერგო, ე.ი. ვიყავი-მეთქი ( ტკეპნას ამთავრებს). მგონი, საკმარისია. ახლა ცოტა არაყი მჭირდება.

**ანიტა.** დაისვენე. რამეს ვიპოვი და ამ ადგილას დავდებ, რომ გათხრილი ვერავინ შეამჩნიოს.

( ანიტა ალაგ-ალაგ ნაგავს აგროვებს და საფლავზე ძალიან ოსტატურად ყრის. საშა გრძელ სკამზე ზის. დაღლილია. ხელებს დაჰყურებს, აინტერესებს, უკანკალებს თუ არა. კი, ხელები უკანკალებს.)

**ანიტა.** ახლაც გენატრება?

**საშა.** არა, მასზე საერთოდ აღარ ვფიქრობ.

**ანიტა.** ეგ კარგია.

**საშა.** თუმცა, ხადნახან ის პროფესორი მახსენდება, რომელმაც დაამტკიცა, რომ შექსპირი ქალი იყო. ვფიქრობ, როგორ იღებს ჰარვარდში თავისი წიგნისთვის საპატიო დოქტორის წოდებას - მშვენიერი აუდიტორია პროფესორებით, ინტელექტუალებითაა სავსე, შეიძლება, სოლ ბელოუ იჯდა იქ, მაგალითად, სიუზენ ზონტაგი ან კოლინ პაუელი; ლამაზად ჩაცმული ქალები, და ყველაზე წინ, პირველ რიგში, ჩემი ცოლი, საპატიო ადგილას.

**ანიტა.** ესე იგი, მაინც ფიქრობ მასზე.

**საშა.** არა, სიმართლე გითხრა. მოკლედ, ზის ჩემი ცოლი თავმომწონედ, ეს ტიპი დგება, სიტყვით გამოსასვლელად ემზადება, სატელევიზიო კამერები სრიალს იწყებენ, მერე კი, მოულოდნელად, რაღაც საშინელი ხმაური ტყდება. კარი ფრიალით იღება და დარბაზში შემოვდივართ მე და შექსპირი. პროფესორს ქაღალდის ფერი ედება, ჩემს ცოლს შიშისაგან კბილების წკაპუნნი უტყდება, მე თავმდაბალი კაცი ვარ, კარებთანვე ვრჩები. მაგრამ შექსპირი მიიწევს სცენისკენ და ამ ტიპს ეკითხება, ესა და ეს შენ ხარო? ეს ეუბნება, კიო, შექსპირი პირდაპირ დრუნჩში უტყვამს მუშტს, მერე მუცელში, მერე კვერცხებში პანჩურს ამოარტყამს, თმით ჩაიჭერს და სახით მუხლზე დაიხლის. მე ვდგავარ, ვიღიმები..

**ანიტა.** აჰა.. ესე იგი, შექსპირი თვითონ აგვარებს საქმეს.

**საშა.** ჰო.

**ანიტა.** კარგია. შენს ცოლსაც წამოართყამს?

**საშა.** მაგაზე არ მიფიქრია, შეიძლება... ( პიჯაკის შიგნითა ჯიბეში რაღაცას ეძებს.)

( სცენის მიღმიდან ადამიანის ღმულის ხმა გამოდის. საშა თავის მაგნიტოფონს აძრობს. რამდენჯერმე მთელი ძალით შეარხევს)

**ანიტა.** რას აკეთებ?

**საშა.** ვცდილობ, რამე მუსიკას მივაგნო. ნებისმიერს, რაც ამ ღმუილს გადაფარავს.

( ანიტა საშას ყურებზე ხელებს აფარებს. ღმუილი უცებ ჩერდება.)

**საშა.** ( შვებით ამოისუნთქავს) რა სასიამოვნოა. იცი, რუსეთში მხატვარი ვიყავი.

**ანიტა.** ათასი რამის მოხატვა შეიძლება, კარგი სამუშაოა, თავს შეინახავ.

**საშა.** არა, მხატვარი, ნახატებს ვხატავდი.

**ანიტა.** ააჰჰ.. ეგ რთულია.

**საშა.** მამაჩემი ასწავლიდა ხატვას, სანამ მოკვდებოდა. ან, უფრო სწორად, სანამ დაიჭერდნენ.

**ანიტა.** ჩემი ძმაც დაჭერილი იყო. ვიცი, რა გრძნობაა ეგ.

**საშა.** ოღონდ მამაჩემს არაფერი დაუშავებია.

**ანიტა.** ჩემმა ძმამ ბევრი დააშავა: მძრაცველი იყო.

**საშა.** ერთხელ მამაჩემმა ის ხედი დახატა, ჩვენი ფანჯრებიდან რომ იშლებოდა. ლექციების წასაკითხად რომ წავიდა, მე შინ ვიყავი და მისი ნახატი დავასრულე. ყველა გაოცებული დარჩა, ამბობდნენ, რომ მე მამაჩემზე უფრო კარგი მხატვარიც კი ვიყავი. ახალი პიკასო შემარქვეს - პიკასოს მამაც ხომ ხატვის მასწავლებელი იყო.

**ანიტა.** უჰ! მე პალომა პიკასოს ჩანთა მაქვს, შემიძლია, ოთხ დოლარად მოგყიდო.

**საშა.** მოკლედ, მერე ლენინგრადში ერთ მხატვართან ერთად გამოფენა მომიწყვეს. უფრო სწორად, ჩემები აბსტრაქტული ნამუშევრები იყო, იმათ მე დიდად არ ვაინტერესებდი, მაგრამ გალერეის დირექტორი მამაჩემის მოსწავლე იყო და ერთი ჩემი ნამუშევარი მაინც გამოჰფინა. მერე ამ გამოფენაზე ბრეჟნევი მივიდა და ეს ჩემი ნამუშევარი ნახა. ყველა სხვა ნახატს სწრაფად ჩაუარა, მაგრამ ჩემის წინ დადგა. ძალიან დიდხანს უყურა, ბოლოს აიღო მიაფურთხა.

**ანიტა.** არ მოეწონა, ესე იგი.

**საშა.** ჰო, არამგონია, მოსწონებოდა. ასე იყო თუ ისე, რუსეთში ჩემი ბოლო გამოფენაც ეგ გამოდგა. გალერეის დირექტორმა პრესაში გადამიარა, წერდა, რომ მოტყუებით შევაპარე დეკადენტური ხელოვნება, რომ თითქოს ღამით, ქურდულად შევედი შენობაში და ჩემი ნამუშევარი სხვებთან ერთად დავტოვე. თუმცა, ის ნახატი, ბრეჟნევი რომ შეაფურთხა, ამერიკელმა კორესპონდენტმა იყიდა. მეც ჩამოვედი ნიუ-იორკში და მეორე რუს მხატვართან ერთად კიდევ ერთი გამოფენა მომიწყვეს. სადღაც იმედი მქონდა, რომ ჯორჯ ბუში მოვიდოდა და რამე ჩემსას მიაფურთხებდა. მაგრამ არ მოსულა.

**ანიტა.** დაპატიჟე, რომ მოსულიყო?

**საშა.** არა.

**ანიტა.** მერე? შეიძლება მარტო იმიტომ არ მოვიდა, რომ არ იცოდა, გამოფენა რომ გქონდა.

**საშა.** შეიძლება. ასეა თუ ისე, მეტი გამოფენა აღარ მქონია. ჰო, მერე რემონტების კეთებაც დავიწყე... მაგრამ იქ, რუსეთში ზოგს ჯერ ვახსოვარ. გალერეის დირექტორი ახლა მოსკოვის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პრორექტორია, ამასწინათ წერილი გამომიგზავნა და რუსეთში მიმიპატიჟა, ახლა, ხატეო, მწერს. ლალას სასმელების მაღაზიაში მოვიდა წერილი.

**ანიტა.** წახვალ?

**საშა.** ( იცინის) წარმომიდგენია იმათი სიფათები, მოსკოვში ისე რომ გამოვეცხადო, როგორც აქ გამოვიყურები.

**ანიტა.** ( ძალიან დიდხანს თვალს არ აცილებს) ესე იგი, არ წახვალ?

**საშა.** ნუ ნერვიულობ. ( თავის მოცახცახე ხელებს დახედავს) ხატვა მე აღარ შემიძლია. ( იცინის.) იქნებ, ვასწავლო. ჩემს ხატვის მასწავლებელს ამაზე უარესად უკანკალებდა ხელები.

**ანიტა.** კარგად გამოიყურები, რომ იცოდე. ცოტა წამუშავება დაგჭირდება შენს გარეგნობაზე და ეგაა. სავარცხლით რომ დაიწყო?

**საშა.** არა. დასალევი მჭირდება.

**ანიტა.** მოიცა ერთი წუთი. სავარცხელს მოგცემ. მე არ მიხმარია, ამიტომ სუფთაა. ( ანიტა საშას სავარცხელს უწვდის. საშა ვარცხნას იწყებს, მაგრამ ძალიან წვალობს. ანიტა ურიკაში ქექვას აგრძელებს.) თუ სავარცხელი შენამდე არავის უხმარია, არ დაითარსები.

**საშა.** ( სხვადსხვაგვარ მასხრულ გამომეტყველებას ირგებს და თმის დავარცხნას ალაგ-ალაგ ახერხებს) აბა. მგონი, გამოვიდა რაღაც. როგორ გამოვიყურები? უკეთ?

**ანიტა.** ბევრად უკეთესად. ახლა კბილები მაჩვენე.

**საშა.** რაო?

**ანიტა.** გაიღიმე. ( საშა იღიმება.) ძალიან კარგი. ერთი ძალიან კარგი ფეხსაცმელი მაქვს აქ სადღაც, წესით, შენ უნდა მოგერგოს. ( ანიტა ურიკიდან მამაკაცის ფეხსაცმელს აძვრენს. მასთან ერთად პოულობს თეთრ პერანგსაც და იმასაც აწვდის.) თუ მასწავლებლობა გინდა, ამნაირი თეთრი პერანგი დაგჭირდება. ჩემს მასწავლებელს ჰქონდა ეგეთი. კბილები და ფეხსაცმელი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანში. თუ უკბილო და უფეხსაცმლო ხარ, შეგიძლია, დაივიწყო მომავლის გეგმები. ამ პარკიდან უმაგათოდ ვერსად წახვალ.

( საშა პერანგს ზედ პალტოზე იცვამს. ცივა. მერე ფეხსაცმელს იცვამს. ანიტა მისთვის პიჯაკსაც პოულობს. საშა ჯერ უარზეა, მაგრამ ანიტა დაჟინებით ცდილობს, კარგად ჩააცვას და საშასაც სხვა გზა აღარ აქვს, ემორჩილება.)

**საშა.** აბა?

**ანიტა.** ძალიან კარგია! ის ბინა, საიდანაც მაშინ გადმოხტი, მთლიანად დაიწვა?

**საშა.** წარმდგენა არ მაქვს. უკან აღარ მიმიხედავს. იქიდან სასწრაფოს მანქანით საავადმყოფოში გამაქანეს. იმ ბინაში გინდა გადასვლა?

**ანიტა.** არ ვიცი, ისე გკითხე.

**საშა.** კვირა არ გავა, რომ მანდედანაც გამოგვეყრიან.

**ანიტა.** ( სახე უნათდება) რა თქვი ახლა?

**საშა.** ერთ კვირაში გამოგვეყრიან ორივეს-მეთქი. ( ანიტა ათი წლის ბავშვივით შეხტება, საშა ორივე ხელს კისერზე შემოხვევს და მაგრად მიეკრობა.) ეი, ეი, კარგი, დამშვიდდი..

**ანიტა.** ( ჯერ კიდევ ეხუტება) „ჩვენ“-ო, უკვე ორჯერ წამოგცდა. ჩვენო! ღმერთი მემადლიერება, პოლი რომ დავმარხე! ახლა არ თქვა, რომ არ გითქვამს.

**საშა.** კარგი, კარგი, ანიტა. ვთქვი.

**ანიტა.** ( დიდი ხალისით, ენერგიულად) მე ისე ვიზამ, რომ ყველაფერი მაგრად გამოვა. ნახავ, თუ არა. არასდროს ინანებ მაგას. ქალწული მარიამის წინაშე ვფიცავ. არ განანებ.

( საშა ორივე ხელს ხვევს და ერთხანს ასე ჰყავს ჩახუტებული.)

**საშა.** ჭერი უნდა ვიპოვოთ. თუ ქუჩაში ცხოვრობ, ადამიანად არ ითვლები.

**ანიტა.** ვიპოვით. ვიპოვით. მე თუ საქმეს ხელი მოვკიდე, ეგ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი გამოვა. ( ცეკვა-ცეკვით ტრიალებს საშას გარშემო, ბედნიერი)

( საშა თავის თეთრ პერანგს, პიჯაკს, ფეხსაცმელს დახედავს, მერე ჯიბიდან სავრაცხელს იღებს და თმას უკვე ძალიან მონდომებით ივრაცხნის).

**საშა.** რას იტყვი, როგორ გამოვიყურები? ( ანიტა ბედნიერი გამომეტყველებით უქნევს თავს, საშა ნახევარად მას მიმართავს, ნახევრად - საკუთარ თავს.) მართლაც.. ვინ იცის. იქნებ საელჩოში წავიდე, როგორ გგონია? რა შეიძლება მითხრან? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, იქიდან მომისვრიან, სხვა რა? რას გაიგებ.. აკადემიის ეს მოსაწვევი კი მაქვს, მაგრამ მანამდე სადმე უნდა ვიზანავო. ( ჯიბიდან წერილს ამოიღებს, დახედავს). ახლა ბევრი ფული კი არ აქვთ, მაგრამ იქნებ ბილეთები მაინც მიყიდონ. ჰალსტუხი მჭირდება. რას იტყვი? წამოხვალ ჩემთან ერთად?

**ანიტა.** როგორი ჰალსტუხი გჭირდება?

**საშა.** ნებისმიერი. ალბათ, აბრეშუმის. წამოხვალ ჩემთან ერთად?

**ანიტა.** საელჩოში?

**საშა.** მოსკოვში.

**ანიტა.** მოსკოვი რუსეთშია?

**საშა.** კი.

**ანიტა.** ბრუკლინი რით არ მოგწონს?

**საშა.** მოსკოვში ბინა მაქვს და იქ დედაჩემი ცხოვრობს.

**ანიტა.** მოსკოვში უფრო ცივა, ვიდრე ნიუ-იორკში?

**საშა.** ( ამაყად) ოჰ. ყინვის მხრივ, ნიუ-იორკი მოსკოვთან რას მოვა.

**ანიტა.** ( ისე, თითქოს დაარწმუნეს) კარგი. მაშინ წამოვალ.

**საშა.** ( თავისთვის, ბუტბუტით) დღეს სამშაბათია. მუშაობას ცხრა საათზე იწყებენ. შეიძლება, წავიდე. რას იტყვი? ( ახალ ფეხსაცმელს თვალს ვერ აშორებს) კარგი. წავალ.

( ანიტა თავის ურიკასთან მიდის და იქიდან ვარდისფერ ტელეფონს იღებს.)

**ანიტა.** ამას კარგ ყელსახვევში გავუცვლი ვინმეს. ნახე, თუ არა. ( ანიტა, კვლავ თავისი ურიკით, სცენიდან გასასვლელად ემზადება. მერე საშას გახედავს და ხვდება, რომ შეუძლია, მას ენდოს.) აქედან ფეხი არ მოიცვალო.

( ანიტა ურიკას იქვე ტოვებს, მხოლოდ ტელეფონი მიაქვს, და სცენიდან გადის)

## სცენა მეშვიდე

(საშა ახალი ტანისამოსით ტკბება. განსაკუთრებით ის მოსწონს, რომ პიჯაკს ნამდვილი და გაურღვეველი ჯიბეები აქვს. ძველი ჯიბეებიდან რამდენიმე გაზეთს იღებს, მათ ახლომხედველის მზერით დახედავს და შემდეგ ახალი პიჯაკის ჯიბეებში იწყობს. მერე ჯიბეებს შეირხევს. ახტება, დახტება. არაფერი უცვია ჯიბეებიდან. საშა ნეტარებს. ახალი ფეხსაცმლით წინ და უკან დააბიჯებს. ერთადერთი, რაც აწუხებს, საკუთარი ხელებია. ხელები უკანკალებს. საშა მათ ახალი პიჯაკის ჯიბეებში იწყობს.)

(ბუჩქის უკნიდან ტკიპა გამოდის. ერთხანს საშას ეჭვის თვალთ გასცქერის. მერე გაუბედავად ჯდება გრძელი სკამის კიდეზე.)

**ტკიპა.** დავბრუნდი.

**საშა.** ვხედავ.

**ტკიპა.** გაგიხარდა?

**საშა.** რა თქმა უნდა.

**ტკიპა.** სწორედ მაგიტომ დავბრუნდი. მე რომ შენთვის ეგრე მეწყენინებია, შენ არ დაბრუნდებოდი.

**საშა.** ეგრა. მე ცოტა თავმოყვარეობა შემომრჩა.

**ტკიპა.** იმიტომ რომ ებრაელი ხარ. (გარშემო მიმოიხედავს). სად არის? (ანიტაზე)

**საშა.** მალე მოვა.

**ტკიპა.** ის მაინც ხომ გჯერა, რომ ქუინსში დეიდა მყავს?

**საშა.** რა თქმა უნდა.

**ტკიპა.** და რომ იოლაც მალე ჩამოვა?

**საშა.** აბა რა.

**ტკიპა.** იმიტომ რომ ჩემთან ურთიერთობა თუ გინდა, პირობა ეგეთია. (წუთიერად სიჩუმე ჩამოვარდება. საშა ჯერაც კოპწიაობს.) ესე იგი, დაბრუნება გადაგიწყვეტია, არა?

**საშა.** კი, ვბრუნდები.

**ტკიპა.** მერე მე?



**ტკიპა.** შენ რა?

**ტკიპა.** არ გინდა, მეც წამიყვანო?

**საშა.** არა.

**ტკიპა.** აჰა. მაგრამ ის ქალი მიგყავს.

**საშა.** ყურს გვიგდებდი?

**ტკიპა.** ჩემს ბუჩქში ვიყავი ჩემთვის.. და, ესე იგი, მოსკოვში გინდა წაიყვანო?

**საშა.** ჰო.

**ტკიპა.** და გგონია, რომ ორ ბილეთს მოგცემენ, იმიტომ რომ ორი გჭირდება, არა? ცოლად უნდა შეირთო.

( ტკიპა სიცილით კვდება)

**საშა.** კარგი.

**ტკიპა.** იცი, რომ ეგ მიქინძული მყავს?

**საშა.** მერე რა?

**ტკიპა.** ბოშასაც მიქინძული ჰყავს. იმას, აქ რომ თავი ჩამოიხრჩო.

( ტკიპა ხელს ხისკენ იშვერს)

**საშა.** ვიცი. მერე?

( ტკიპა ჯიბიდან არყის ბოთლს იღებს და ცოტას მოსვამს)

**ტკიპა.** ( იცინის). ახლა იმაზე ვფიქრობ, რა ბედნიერი იქნება დედაშენი. ყველა დედა შვილიშვილზე ოცნებობს. ( საშას ტკიპას ბოთლი იმაზე მეტად იზიდავს, ვიდრე ისურვებდა) დარწმუნებული ხარ, რომ იცის, ვინ ხარ? ჯერ ის ვნახოთ, აქ რომ მობრუნდება, გიცნობს თუ არა. ( ტკიპა კიდევ მოსვამს არყის ბოთლიდან, წამოდგება და ანიტას ურიკას უახლოვდება. ზემოდან დაჰყურებს და მის ავლა-დიდებას ხელის გაკვრით ათვალთქვამს.) კარგი რამეები აქვს, ხომ იცი. გგონია, ამას თვითმფრინავში აგატანინებენ? პირველი კლასის ბილეთით - შეიძლება. თუ ბიზნესკლასი ჰქვია მაგას...

**საშა.** ხელი გაუშვი. მის ნივთებს ნუ ეხები.

**ტკიპა.** ( ხელებს მაღლა სწევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება სკამზე.) კარგი. კარგი. ნუ ცოფდები. ( კიდევ ერთი გრძელი ყლუპით მოსვამს არაყს) იცი, რას გეტყვი? მართალი ხარ შენ. რუსეთში უნდა დაბრუნდე. იქიდან ხარ და იქ არის შენი ადგილი. შენ აქ ვერასდროს დაიმკვიდრებ თავს. მე, მაგალითად, რომ მომკლა, ნიუ-იორკიდან ფეხს ვერ გამადგმევინებ. აქედან ძალითაც ვერ გამათრევენ. ( კიდევ მოსვამს არაყს) იმიტომ რომ მე ვიცი, როგორ ვიცხოვრო ამერიკაში. გაზეთებს ვკითხულობ. აქაური ცხოვრების მაჯაზე მიდევს თითი და ზუსტად ვიცი, რა და როგორ ვაკეთო. სულ-სულ ფსკერამდე რომ დავეცემი, მერე ძალიან წყნარად და მშვიდად მივალ ერთ რომელიმე აქაურ „ფრონცე“ სადეტოქსიკაციო ცენტრში. ერთი ლერი ფორტენსკის შეხედე. მუშა იყო, რა, ერთი ჩვეულებრივი მუშა, მშენებლობებზე მუშაობდა, ბინებში კედლებს ღებავდა. და მერე ნახე, რა ქერის ორმოში ჩავარდა. იმდენს სვამდა, რამდენსაც კაი პოლონელი ჯიგარი უნდა სვამდეს, მერე სულ ჩეშვა. მგონი, ცოტა ამ ქვეყანაზეც აღარ იყო, ან რაღაც ეპილეფსიისმაგვარი ჰქონდა. მოკლედ, წავიდა ამ რაღაც „ფროცნე“ სამკურნალო ცენტრში, ჰოდა, გავიხედოთ, და ვინ უზის გვერდით? ელიზაბეტ ტეილორი. მეორე დღეს ტიპი უკვე ჰამაკში წევს, ირგვლივ ჩიტები ჭიკჭიკებენ, თავს ზემოთ პალმები ერწევა, მაიკლ ჯექსონი ბრეიქდანსით წრეებს არტყამს, კუები ჰყავს, გველები, რავი, კატებიც, ალბათ. ამ ცხოვრებას შენ გაუგებ რამეს? ლიზ ტეილორი თითის წვერებზე დაცუქცუქებს, გრეიპფრუტის წვენში ვიბოროვას არაყს უსხამს. იმიტომ რომ ამ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რაც ხარ, იმად დარჩე და თავს არ უღალატო!

( ტკიპა კიდევ ერთხელ მოსვამს არაყს)

**საშა.** ჰო, მაგრამ ეგენი ერთმანეთს გაშორდნენ.

**ტკიპა.** ტეილორმა იკითხოს.

( საშა ბოთლს თვალს ვერ წყვეტს. მეტის მოთმენა აღარ შეუძლია.)

**საშა.** მომე აქ ეგ ბოთლი.

**ტკიპა.** ( ვითომ საშაზე ზრუნვით) ღირს? აბა, კარგად დაფიქრდი. მერე საელჩოში რას იტყვიან?

**საშა.** ცოტა მომასმევიწიე, დედამოხნულო პოლონელო.

( ტკიპა ბოთლს აწვდის.)

**საშა.** ( სანამ დალევდეს.) ისე, იცოდე, რომ საელჩოში ხვალ ვაპირებ წასვლას.

**ტკიპა.** წახვალ, აბა რა.

**საშა.** აბა რა.

( საშა ბოთლს მოიყუდებს და სასმელს ისე დაეწაფება, თითქოს წყალს სვამდეს. ძალიან სწყურია. დასალევისგან გააკანკალებს და იჯღანება)

**საშა.** ეს რა ოხრობაა?

**ტკიპა.** არაყია, რა. ცოტა სპირტჩაკიდებული. კაი გრადუსი აქვს, არა? ( საშა კიდევ ერთხელ მოიყუდებს ბოთლს) ნელა. ნელა. ეგრე სწრაფად ნუ სვამ. ცუდად გახდები.

( საშა სვამს)

**საშა.** მინდა, ისიც იცოდე, რომ ანიტა მოსკოვში მაინც მიმყავს. ჩემთვის არაფერი შეცვლილა.

**ტკიპა.** კი, აბა რა, საშა. და იცი, რა? ( ნაზად) ნუ ნერვიულობ. შეიძლება, მართლა გამოგივიდეს რაღაც. ამ ქალს უყვარხარ. ქუჩას თუ მოაშორებ, შეიძლება, ყველაფერი ძალიანაც კარგად აეწყოს.

( საშას მოულოდნელად საშინელი თავის ტკივილი ეწყება და ორივე ხელს თავზე იჭერს)

**საშა.** მოკეტე.

**ტკიპა.** არა, მართლა. ადამიანები იცვლებიან. წინასწარ რას გაიგებ. დედაშენი მიხედავდა, მოუვლიდა.. მე, ჩემდათავად, ყველაფერს კარგს გისურვებ. ჩემი მეგობარი ხარ. ბედნიერი მინდა, იყო. ( საშა ღმუილით იხრება წელში და სკამზე წვება, ძალიან ცუდადაა.) ფრთხილად, ფრთხილად, საშა. დაწევი, ჰო. იცი, რას ვფიქრობ? იოლა რომ ჩამოვა...

**სცენა მერვე**

( სცენის მიღმა, კულისებიდან ხმაური გამოდის, ქალზე ძალადობის საშინელი ხმები.)

**ანიტა.** ( კულისებში.) გამიშვი, ხელი გამიშვი, ღორო! გამიშვი! არ გინდა, ხელი...

**ინდიელი<sup>16</sup>.** მოკეტე, ჩათლახო!

**ტკიპა.** ინდიელია.

---

<sup>16</sup> პოლონურ ვერსიაში ანიტაზე ინდიელი კი არა, ორი უცნობი მამაკაცი ძალადობს. სხვამხრივ, ტექსტი პრაქტიკულად იგივეა. რასაკვირველია, ტკიპას რეპლიკა „ინდიელია“ პოლონურ ვერსიაში ვერ იქნება.

**ანიტა.** ( კულისებიდან) საშა! მიშველე, საშა. მიშველე. საშა, საშა..

( საშას სანახევროდ ესმის, რაც სცენის გარეთ ხდება. წამოდგომას ცდილობს, მაგრამ წაიფორხილებს და ეცემა.)

**საშა.** ( უძალოდ ყვირის, მოთქვამს) ანიტა. ანიტა, არა.

**ანიტა.** ( კულისებში. მოგუდული ძახილი) საშა!

( ტკიპა უცოდველი სახით ზის და უსმენს. საშა ყურებზე ხელებს იფარებს.)

**საშა.** ( ცდილობს, ანიტას კვილი გადაფაროს) ააააააააააააააა!

### **სცენა მეცხრე**

( საშა და ტკიპა ერთ გრძელ სკამზე სხედან. შემოდის ანიტა. ტანისამოსი შემოხეული აქვს. სახე - ჩალურჯებული. ხელში ჰალსტუხი უჭირავს. არც საშას უყურებს, არც ტკიპას. გრძელი სკამისკენ მიდის და მასზე მძიმედ ეხეთქება. ერთხანს ხმამაღლა სხედან. ანიტას და საშას მზერა ერთმანეთს ხვდება. საშა თავს ჩაქინდრავს. ფეხსაცმლიდან ძველ სამართებელს იღებს და ჯიბეების დაჭრას იწყებს. ცალ ჯიბეში რუსეთიდან მიღებული მოწვევა მოხვდება ხელში, ამოიღებს და ძირს აგდებს.)<sup>17</sup>

**ტკიპა.** რამე უნდა დავლიო.

( სცენას სინათლის უზარმაზარი ლურჯი და წითელი, მოციმციმე ჭავლი ატყდება, თითქოს იქაურობას პოლიციის ათობით მანქანა მისდგომოდეს. გვესმის მანქანების კარების მიჯახუნება. ანიტა სინათლეს შეჰყურებს და ბედნიერი გამომეტყველებით იღიმება, თავისი პატარა მაღაზია დაუდგება თვალწინ. სინათლის ლაქები კიდევ რამდენიმე წუთს დაურბის სცენას. შემოდის პოლიციელი.)

---

<sup>17</sup> პოლონურ ვერსიაში საშასა და ანიტას შორის მცირე დიალოგი იმართება:

საშა: (ძლივს უჭირავს თავი) ანიტა, მისმინე ... ( მასთან მიდის).. მე.... მე... ვერაფერი შევძელი, ანიტა. ( მის ურიკას ეხება)

ანიტა: ( აგრესიულად აშორებს ურიკას) წადი აქედან! შენ ის არ ხარ! შენ ის არ ხარ!

საშა. ანიტა...

ანიტა. ( ურიკას შუაში ჩაიდგამს) წადი.. თორემ ყელს გამოგჭამ.. შიდსი მაქვს. ( კბილებს აღრჭიალებს და იღრინება)

ტკიპა. ხომ გეუბნებოდი, საშა. გიჟია-მეთქი.

( ანიტა ურიკას მეორე სკამისკენ მიაგორებს და იქ ჯდება)

საშა. არაფერი შეცვლილა, ანიტა.. მე საელჩოში მივიდივარ.

( ანიტას თითქოს აღარ ესმის მისი, ირწევს და რაღაცას თავისთვის ჩუმად ლილინებს).

ტკიპა. რაღაც უნდა დავლიო.

## სცენა მეთე

**პოლიციელი** ( მაყურებელს მიმართავს.) პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს, როგორც იყო გასულ კვირას ამ პარკში ჩატარებული წმენდა, მიღებულ იქნა პირველი და მეორე ფაზების გამოტოვების გადაწყვეტილება. ჩვენ დაუყოვნებლივ გადავედით მესამე ფაზაზე და პარკის წმენდას შევუდექით. ოპერაცია მოჰყვა ამასწინაღ გავრცელებულ ხმებს, თითქოს ამ ტერიტორიაზე რომელიღაც უსახლკარო მაწანწალა იქნა დასაფლავებული. ჩვენ გადავთხარეთ მთელი პარკი, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიეთ. მითქმა-მოთქმის წყარო შეშლილი პურტორიკოელი ქალი გამოდგა, რომელიც მანამდე აქ ცხოვრობდა. ქალი პარკში დაბრუნებას მას შემდეგაც ცდილობდა, როცა ტერიტორიას ათი ფუტის სიმაღლის ბადე შემოვავლეთ. ბოლოს მთავარ შემოსასვლელთან ჩამოუხრჩვია თავი. იგი პოტერს ფილდის სასაფლაოზე იქნა გადასვენებული. რა გაეწყობა.. ჩვენ რაღას ვიზამდით? ზოგი ადამიანის შველა უკვე შეუძლებელია. ( აქ მიწაზე საშას მაგნიტოფონს შენიშნავს, დაიხრება, აიღებს, ცოტას წაუჩხიკინებს და რამდენჯერმე შეარხევს.)

**პოლიციელი** ( აგრძელებს) კიდევ ერთი რამ, რაც, შესაძლოა, თქვენთვის საინტერესო გამოდგეს. უახალესი სტატისტიკის თანახმად, ქალაქ ნიუ-იორკში უსახლკაროების რაოდენობა განუწყვეტლად იზრდება და წლის ბოლოსთვის ყოველ სამას ნიუიორკელზე ერთი უსახლკარო გვეყოლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ამ დარბაზში მსხდომ მაყურებელს შორის, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც, მომავალი უსახლკაროა. და თქვენ კარგად იცით, რომ საუბარი ზუსტად თქვენზეა. სასიამოვნო საღამოს გისურვებთ.

( უეცრად მაგნიტოფონი ირთვება და იგივე სიმღერა ისმის, რომლითაც სპექტაკლი დაიწყო.)

პიესის დასასრული

